ეროვნული თავისუფლების გზით – პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისაკენ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველო

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი. გამოდის ოთხშაბათს და შაბათს | №13 (1643) | 28 თებერვალი – 3 მარტი 1998 წ. | ფასი 50 თეთრი



ვინ ვის სკამზე ზის?!

მესამე გვერდი



«მშიაო, იტყვი -ზვიადისტი ხარ, მწყურიაო - ზვიადისტი». «დუბინკები და დუბინკები»

ექსკლუზიური ინტერვიუ გოჩა ესებუას მამასთან

მეორე გვერდი

გოჩა ესებუა

შევარდნაძეზე თავდასხმის ახალი ვერსია

რუსეთს აქტიურად მიყავს კვალი სხვისკენ

ვაშინგტონის ხელი?

მეოთხე გვერდი

შაბათის კომენტარი ორშაბათის რადიოინტერვიუზე

მეორე გვერდი

კრიმინალური ქრონიკა

მეექვსე გვერდი

სტუმარ-მასპინძლობა თუ მასპინძელ-სტუმრობა?!

მეხუთე გვერდი

საზღვრები

მეცხრე გვერდი

«ეშიარ, იტყვი - ზვიადისტი ხარ, მწყურიარ - ზვიადისტი». «დუბინკები და დუბინკები»

ესკლუზიური ინტერვიუ გოჩა ესებუას მამასთან

ესებუების ოჯახი ზუგდიდში ერთ პატარა ქუჩაზე ცხოვრობს, რომელიც სხვადასხვა დროს სხვადასხვა სახელს ატარებდა. ადრე – მახარაძის, ქობალიას რამდენიმე დღიანი მმართველობის დროს კი გია ესებუას, ხოლო დღევანდელმა ხელისუფლებამ ეტყობა ყველაზე მისაღები ვარიანტი შეარჩია და თავისუფლების ქუჩა უწოდა.

გოჩა ესებუა დაბადა 1967 წელს. მოსკოვში დაამთავრა ინსტიტუტი, საბჭოთა ჯარში მოიხადა სამხედრო ვალდებულება, პროფესიით ელ. ინჟინერია. წინა ხელისუფლების დროს იყო გვარდიის მაიორი. იბრძოდა გამსახურდიას ხელისუფლების დასაცავად ე.წ. „თბილისის ომში“.

ესებუების ოჯახში მისულმა ჟურნალისტებმა საკმაოდ არასასურველი სურათი ვიხილეთ. ოჯახი ძლიერ განსაცდელშია, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ გოჩა ესებუას მამამ ბატონმა სერგომ გასაუბრება არცერთ ჟურნალისტთან არ მოისურვა, ჩემს თხოვნაზე გამსაუბრებოდა, უარი არ უთქვამს.

– ბატონო სერგო, როდის ნახეთ თქვენი შვილი ბოლოს?

– გოჩა სახლიდან 1993 წელს წავიდა და მას შემდეგ აღარ მინახავს. როდესაც ზუგდიდში მხედრიონი შემოვიდა, მან დატოვა აქაურობა, დღემდე არაფერი ვიცოდი მისი ადგილსამყოფელის შესახებ. თუმცა გოჩას წასვლა საერთოდ არ იყო გასაკვირი, რადგან გოჩა კანონიერ ხელისუფლებას იცავდა და აქ არავინ გაახარებდა. უფრო მეტსაც გეტყვით, მხედრიონის შემოსვლის დროს ჩვენც, ოჯახის ყველა წევრმაც დავტოვეთ სახლ-კარი და ექვსი თვის განავლობაში ბათუმში ვიყავით ნათესავთან.

– რა იყო თქვენი გახიზვნის მიზეზი. დევნას ხომ არ აწარმოებდნენ. ან იქნებ გემუქრებოდათ ვინმე?

– არა, არც მხედრიონი და არც ხელისუფლება (ირონიული ღიმილი), მაგრამ უსაფრთხოების ღონისძიებები მაინც გავატარეთ. ასე რომ, არც ზეწოლას და არც მუქარას ადგილი არ ჰქონია, როგორც გოჩას აქ ყოფნის პერიოდში, ასე შემდგომშიც. მაგრამ ყველაზე დიდი უბედურება ისაა, რომ ერთი შვილი მომიკლეს, მეორე კი ცოცხლად დავკარგე.

– თუ შეიძლება დაგვიკონკრეტეთ, პირველი შვილი როდის მოგიკლეს და რა ვითარებაში?

– გია ისევე, როგორც გოჩა, გვარდიის ოფიცერი იყო წინა ხელისუფლების დროს. მოკლეს თბილისში 1991 წლის 23 დეკემბერს, როდესაც კანონიერ ხელისუფლებას იცავდა. მაშინ მეც და ჩემი მეუღლეც იქ ვიმყოფებოდით და ვთხოვდით, დაედოთ იარაღი და სახლში წამოსულიყვნენ, მაგრამ თავისი არ დაიშალეს. ორივენი ერთად იბრძოდნენ.

ქაშვეთის ეკლესიასთან ერთ-ერთი შეტაკების დროს ტყვიამ გოჩას წარბს ზემოთ გაუარა და გიას კეფა გაეხვრიტა. თვითონ გოჩამ დაახუჭვინა თვალები. ძმის სხეულიდან ამოღებულ ტყვიას გულის ჯიბით ატარებდა ადრე პატრიოტი, ეხლა კი ტერორისტად წოდებული ჩემი შვილი.

ე.წ. თბილისის ომის შემდეგ თუ მონაწილეობდა საბრძოლო ოპერაციებში გოჩა?

– არ ვიცი, ძალიან გულჩათხრობილი ბიჭია და ცოტა ლაპარაკი უყვარს, მოკლედ ჩვენ არასდროს არ გვეუბნებოდა თავისი საქმიანობის შესახებ.

– თქვენ ბრძანეთ, რომ თქვენი შვილი 1993 წლის შემდეგ არ გინახავთ, დაახლოებით მაინც ხომ ვერ მეტყვით, სად შეიძლებოდა მისი ყოფნა ამ ხნის განმავლობაში?

– არაფერი არ ვიცი, არც არავის არაფერი უთქვამს (უშიშროების მინისტრმა ბატ. ჯაბოკიძემ განაცხადა, რომ ესებუა ამ ხნის განმავლობაში უცხო სახელმწიფოს ტერიტორიაზე იმყოფებოდა).

– თავის მხრივ ის ფაქტი, რომ იგი მისი ძმის სხეულიდან ამოღებულ ტყვიას ატარებდა ჯიბით, ხომ არ მეტყველებს იმაზე, რომ შურისძიებას აპირებდა?

– არ ვიცი, შეიძლება აპირებდა კიდეც, მაგრამ ჩემთვის არაფერი არ უთქვამს.

– როგორ შეაფასებდის თქვენი შვილის მიერ ჩადენილ ქმედებას?

– თავს ვიკავებ.

– დანაშაულს უწოდებთ. თუ...

– სამაჩაბლოში ომი რომ დაიწყო, მაშინ არ უწოდებდნენ ჩემს შვილებს ზვიადისტებს, მაგრამ წაიდნენ სამშობლოს დასაცავად. ალბაც ახლაც სამშობლოს ინტერესები ამოძრავებთ გოჩასაც და იმ ბიჭებსაც, რომლებიც მის გვერდით არიან.

– შეხვედრის საშუალება რომ გქონდეთ, რას ეტყოდით პრეზიდენტს?

– არაფერს, რა უნდა ვუთხრა?! ეს ერთი ბიჭი მაინც შემრჩებოდეს ხეტავი ცოცხალი. ან ჩვენს სიტყვას ყურს ვინ უგდებს? მშიაო, იტყვი, ზვიადისტი ხარ, მწყურიაო – ზვიადისტი. „დუბინკები და დუბინკები“. სადამდე უნდა გაგრძელდეს ან სადამდე შეიძლება ამის მოთმენა.

კობა კაპანაძე
ქ.ზუგდიდი 22.02.1998წ.

შაბათის კომენტარი ორშაბათის რადიოინტერვიუზე

პრეზიდენტი მართალს ამბობს

ჩვენი კომენტარის ეს პირველი სვეტი, სამწუხაროდ, ამჯერად ძალიან მწირია. იგი სულ ორი აბზაცით შემოიფარგლება. აი ეს ორი აბზაციც:

„ახლა, სულ ორიოდე სიტყვა ქვეყნის ეკონომიკური და ფინანსური მდგომარეობის შესახებ. ეს საკმაოდ სერიოზულ შეშფოთებას იწვევს. მიუხედავად უკეთესი ენერგეტიკული უზრუნველყოფისა, იანვარში აღინიშნა მრეწველობის ტემპის სერიოზული შენელება.

მინდა ვთქვა, რომ მრეწველობის სამინისტროსი სხვა დარგობრივი სტრუქტურები მოუქნელად მუშაობენ, სცოდავენ რეგიონული, რაიონული, საქალაქო ხელმძღვანელებიც“.

იმის საიდუმლო, თუ რატომ იყო ეს სვეტი წინა კომენტარში ყველაზე ვრცელი, ამჯერად კი ძალიან მოკლეა, შემდეგში მდგომარეობს: გასული ორშაბათის კომენტარში პრეზიდენტმა ისაუბრა აწმყო დროში, ამიტომ იძულებული იყო მხოლოდ ხელმოცარვასა და ჩავარდნაზე ელაპარაკა. ამგვარი თემის გაჭიმვა კი არც ერთ ორატორს არ უყვარს. წინა ორშაბათის ინტერვიუში კი მან ილაპარაკა იმ ცისკროვან პერსპექტივებზე, რაც საქართველოს მომავალში აქვს, ოღონდ იმის ხსენება დააკლო, რომ იმ გულწრფელ ოცნებათა ახდომას სხვა ხელისუფლება სჭირდება.

პრეზიდენტი ცდება

იგი ცდება, პირველ ყოვლისა, თეორიაში, როდესაც, ერთის მხრივ, სახელმწიფოში იდეოლოგიის საჭიროებას უარყოფს (მით უმეტეს – ეროვნული იდეოლოგიის საჭიროებას), მეორე მხრივ კი ბოლშევიკურად „ერთი იდეით, ერთი რწმენით“. „ერთიანი მსოფლმხედველობით“ „მტკიცედ შეკრული“ გუნდის – თავისი პარტიის („მოქალაქეთა კავშირის“) იმედზე ამყარებს თავის გეგმებს. თუ ვინმემ ჰკითხა: „ასეთი ერთსულოვანი და ერთგვაროვანი პარტიის მსოფლმხედველობის შინაარსი რა არისო“, მაშინ, რასაკვირველია, ცხადად გამოსჩნდება, რომ „ქვეყნის ამშენებელ“ ამ პარტიას თავისი იდეოლოგიაც ჰქონია! (რადგან „ერთიან მსოფლმხედველობას“ სხვა სახელი არც ჰრქმევია ოდესმე და არც ჰქვია). უფრო მძიმე შეცდომაა, ჩემის აზრით, პრეზიდენტის ოპტიმისტური მსჯელობა საქართველოში მეცნიერების განვითარებაზე ისეთ პირობებში, როცა მოსახლეობის ერთი რომელიღაც ნაწილის ბავშვები მაინც – და არა მოსახლეობის უმრავლესობასა, როგორც ახლა ჩვენშია – სკოლაში ვერ დადიან. რატომ? იმიტომ, რომ ადამიანთა ინტელექტუალური უნარები ყველა ეპოქასა და ყველა ქვეყანაში (რა თქმა უნდა, გენეტიკურ-ბიოლოგიური სპეციფიკის გათვალისწინებით) დაახლოებით ერთი და იგივეა. მეცნიერების მწვერვალთა სიმაღლეს ამათუ იმ ქვეყანაში (დღეს კი მსოფლიო ბაზარში სწორედ ეს „მწვერვალები“ ფასდება ყველაზე ძვირად) განსაზღვრავს ფონი ანუ საყოველთაო დონე სწავლა-განათლებისა, რომელიც მოცემულ საზოგადოებაში არსებობს. ასე რომ, საქართველოს აკადემიის წამყვანი ინსტიტუტი ვერ იქნება პაკისტანის სათანადო დაწესებულების დონეზე, მით უმეტეს – აშშ სათანადო დაწესებულების დონეზე, თუ ქართველი მეათეკლასელი არ არის თავისი პაკისტანელი და ამერიკელი თანატოლის დონეზე არა ინდივიდუალურად, არამედ მასობრივად. განათლების ზოგადი დონის შემქმნელი სახელმწიფოში არ არის არავითარი ძალა, თუ აღას არ აკეთებს თვით სახელმწიფო, ხოლო კერძო სკოლები და უნივერსიტეტები თავის ინდივიდუალურ შემოქმედებას ამ სფეროში სახელმწიფოს მიერ შექმნილი და მიღწეული საშუალო-სტატისტიკური დონის ფონზე იწყებენ (და არა აბსოლუტური ნულის ფონზე). საქართველოს სახელმწიფოს მას შემდეგ, რაც მას სათავეში მისი დღევანდელი პრეზიდენტი უდგას, პრინციპულად ხელი აქვს აღებული განათლების პრობლემაზე, როგორც სახელმწიფო პრობლემაზე. ამ პოლიტიკას (თუკი იგი გაგრძელდა) ერთადერთი შედეგი შეიძლება ჰქონდეს: ქართველი ერი უსწავლელ ერად დარჩება თავის მასაში. მაშასადამე – ესეც გარდუვალია – იგი ვეღარ მიიღებს მონაწილეობას ფიზიკურ შრომაშიც კი მსოფლიოს მზარდი სტანდარტების შესაბამისად (ვერ დადგება ტრაქტორის მართვის პულტთან და ა.შ.) და მთლიანად ან ხმოსახურებაში, სახელდობრ, არაკვალიფიციურ მომსახურებაში ჩაბმული ალმოჩნდება (ფეხსაცმელის მწმენდავი, ფასიანი საჭირო ოთახის მომსახურე, რესტორანში მიმტანი, მეძავი, ან უმუშევარი.

შეცდომათა კატეგორიას – და არა შეგნებულ დეზინფორმაციას – უნდა მიეკუთვნოს, უთუოდ, პრეზიდენტის განცხადებაც, რომ „არასოდეს ყოფილა საქართველოს პრეზიდენტი და საქართველოს პარლამენტი ისე ძლიერი, როგორც დღეს“. პრეზიდენტის ძლიერება დღეს, სამწუხაროდ, მხოლოდ ყველა დანარჩენის უძლურებაში გამოიხატება და სხვა ვერაფერში. მართლაც, რა ქმნის ძლიერებას? შრომის და ბრძოლის უნარი. დღეს საქართველო თითქმის არ შრომობს (მისი ნაწილი მხოლოდ ეაჭრობს), რადგან ეს პრეზიდენტისა და პარლამენტის ეკონომიკური პოლიტიკის ბარდუვალი შედეგია. მით უმეტეს, იგი არ იბრძვის და ვერ იბრძვის, რადგან ყველაფერი კეთდება, ჯერ ერთი, იმისთვის, რომ შეიარაღებული ძალა არ შეიქმნას და პოლიცია არ ბაჯანსალდეს, ერთის მხრივ, და იმისათვის, რომ ქართველი ხალხის დემორალიზაცია, ანუ მასში მებრძოლი და თუნდ მასობრივ-სპარტული სულისკვეთების ჩაკვლა მოხდეს, მეორე მხრივ (ამაზე მზად ვართ ვეკამათოთ ნებისმიერ ოპონენტს). ძლიერება იქმნება ადამიანთა და ჯგუფთა ძალის შეერთებით ერთი მიზნის სამსახურში, და არა ერთი ადამიანის მიერ მეორის „დაბალანსებით“ ანუ გაბათილებით, როგორც ეს საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების პრაქტიკაშია ამ ბოლო 6 წლის მანძილზე! „დანარჩენთა“ უძლურება კი გამოჩნდა თუნდაც 9 თებერვლის ტერაქტის დროს, როცა მთელმა საქართველომ მაჯლაჯუნა სიზმარივით დაინახა, რომ ერთი კაცის აფეთქებით საქართველოში ხელისუფლება აღარ რჩება, უსასრულო და განუკითხავი ქაოსი მყარდება! მაგრამ ხალხი ცოტა გამოფხიზლდა კიდეც ამ მდგომარეობის დანახვით, რომელიც მხოლოდ თვით პრეზიდენტის ბრალია. როგორც ერთმა ჟურნალისტმა დაწერა, ხალხმა დაინახა, რომ თუ შევარდნაძე არ არის, ხელისუფლებაში სიცარიელეა, მაგრამ თუ იგი არის, ხელისუფლებაში მაინც იგივე სიცარიელე სუფევს!

პრეზიდენტი მართალს არ ამბობს

ჩვენი კომენტარის ეს სვეტიც ამჯერად მწირი გამოგვიდის, ვინაიდან იმ თემებს, რომელზედაც პრეზიდენტის პარტია ყველაზე შორს არის სიმართლისაგან, იგი გვერდს უვლის, საგნებსა და მოვლენებს თავის სახელს არ არქმევს და იმაზე არ ლაპარაკობს, რაც ამ საკითხებში მთავარი და არსებითია. იგი ლაპარაკობს იმაზე, რომ დასავლეთი საქართველო ჩვენი ქვეყნის თვალია (რა თქმა უნდა, იქვე დასძენს მართებულად, რომ საქართველოს თვალია მისი ყველა სხვა კუთხეც), მაგრამ არაფერს ამბობს იმაზე, რომ ეს მხარე შემენებულად დაირბა ამ რამდენიმე წლის მანძილზე და რომ იგი მისი მმართველობის ხელში დაირბა. იგი ამბობს, რომ თუ ფრთხილად არ ვიქნებით, „ზვიადისტურად“ განწყობილი პირები ითარეშებენ ისევე, როგორც 1995 წლის ტერაქტამდე სხვანი თარეშობდნენ, მაგრამ არ ამბობს, რომ ის სხვანი მისი მმართველობის პირმშონი იყვნენ, მისი ერთადერთი საყრდენი ეროვნული ინტერესების წინააღმდეგ ბრძოლაში და, ამდენად, მისი ნებართვითა და ხელშეწყობით აღიარებულნი და შეიარაღებულნი. ამ სვეტში მოსათავსებელია მისი შეპირებაც, რომ ინტელიგენციას „შრომისა და შემოქმედების საუკეთესო პირობებს“ შეუქმნის. ვერა, ვერ შეუქმნის, რადგან ინტელიგენციისთვის შრომისა და შემოქმედების საუკეთესო პირობაა საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი მშენებლობის, წინსვლის, ბრძოლის საერთო პროცესი (უფრო დაზუსტებით: საერთო-ეროვნული პროცესი, რომელშიც ეს ინტელიგენტი თავის ამოცანასა და ადგილს დაინახავს, და არა სრული გონებრივი და პოლიტიკური სტაგნაციის მდგომარეობა ფერუმარილწასმული ნაკომუნისტარი ფრაზეოლოგიის ფონზე.

ყველა ამ დებულებათა მწვერვალს კი, რომელსაც ამ სვეტში ადგილი ეკუთვნის, წარმოადგენს მოწოდება ჩვენი ქვეყნის ადამიანებისადმი, დაიცვან „უზენაესი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდეალები“. სიმართლისთვის ზურგის შექცევა აქ იმაში მდგომარეობს, რომ საქართველო, როგორც იგი დღევანდელი ხელისუფლების ხელში შენდება, ეროვნულ სახელმწიფოდ არ შენდება. იგი – თვით მისი პრაქტიკის უკიდურესი გაიდეალების შემთხვევაშიც კი – შენდება მხოლოდ ვიწრო-პრაგმატულ, მხოლოდ კუჭზე (ისიც – კალორიების მინიმუმს მოკლებულ კუჭზე) ორიენტირებულ არაეროვნულ, თუ გნებავთ ანტიეროვნულ სახელმწიფოდ, რომელმაც არ იცის, რისთვის არის, რადგან მისი მესვეურები არასოდეს დაფიქრებულან არც ადამიანის არსებობის, არც ერის არსებობის და არც ამ ერის სახელმწიფოს. არსებობის აზრზე.

ვერილმან შეცოდებებზე სიმართლის წინაშე აქ აღარ ვლაპარაკობთ, რადგან ეს შეცოდებები უნაშთოდ ეტევა ტრადიციული კომუნისტური „პარადული კეთილდღეობის“ ჩარჩოებში.

შემატკივარი

ვინ ვის სკამზე ზის?!

ერთ-ერთ ამასწინანდელ სატელევიზიო გამოსვლაში პრეზიდენტმა საჯაროდ განაცხადა, რომ სამეგრელოში არაერთი პრობლემა არ არსებობს, პრობლემა ხელისუფლებაშიაო. მართალია გვიან, მაგრამ მაინც აღიარა შევარდნაძემ სიმართლე. ოღონდ, ეგ არის, ყველაფერი ეს ითქვა მას შემდეგ, რაც ხელისუფალნი



შუბლით შეეჯახნენ ამ პრობლემას და ცივილიზებულმა სამყარომაც, ბოლოს და ბოლოს, გაიგო, რომ საქართველოში ყველაფერი ისე არაა, როგორც ამას ოფიციოზის საინფორმაციო არხები გადასცემენ.

მოსახლეობის 5-10 პროცენტის (პრეზიდენტის ერთ-ერთი საორშაბათო რადიოინტერვიუდან აღებული ციფრებია) იგნორირება, მათი გარიყვა პოლიტიკური შეხედულებების გამო და მეტიც – დევნა, შევიწროება, იარლიყების მიკერება, – ეს გახლდათ დღემდე ქვეყნის მმართველთა შიდაპოლიტიკური კურსი, რომელმაც, ვფიქრობ, განაპირობა სწორედ ამ დღეებში ზუგდიდში მიმდინარე პროცესები. თუმცა, არ ის არის გამოსარიცხი, რომ სამეგრელოში დატრიალებული მოვლენების და მანამდე თბილისში მომხდარი თავდასხმის სცენარი სხვა ქვეყანაში დაიწერა და მისი განხორციელებისთვისაც ამავე ქვეყანამ იზრუნა.

ასეა თუ ისე, ტერორი განხორციელდა და მან თავისი შედეგიც გამოიღო: წინა და დღევანდელი ხელისუფლების წარმომადგენლები მოლაპარაკების მაგიდას მიუსხდნენ და დიალოგიც, ასე ვთქვათ, დაიწყო. როგორ განვითარდება მოვლენები? მართლაც მოხდება ე.წ. დიდი შერიგება თუ ეს ისევ და ისევ უნიჭო მცდელობა იქნება იმისა, რომ ხალხს შერიგების ნაბიჯებად მოაჩვენონ ეს ყველაფერი?

რა ხასიათს მიიღებს ეს მოლაპარაკება, რა შედეგებს მივიღებთ მისგან, ამას ახლო მომავალში ვნახავთ, მაგრამ მთავარი, ჩემი აზრით, აქ სხვა რამეა: ხომ არ უზიან მოლაპარაკების მაგიდას სხვა ქვეყნის (ქვეყნების) ნების აღმსრულებლები, ხომ არ კარნახობენ მათ გარედან პირობებს უცხო ქვეყნის (ქვეყნების) სპეცსამსახურები და ხომ არ ცდილობს ვინმე სამთავრობო გრძელ სკამზე ერთი მისი ყურმოჭრილი ყმა მეორე, უფრო მეტად ყურმოჭრილი მონით შეცვალოს? შესაძლოა, ვინმეს ზედმეტად მოეჩვენოს ჩემი ეს შეშფოთებული კითხვა, შეიძლება მავანმა და მავანმა ეჭვის თვალითაც შემომხედოს, მაგრამ, მერწმუნეთ, არა მხოლოდ მე, ქართველთა უმრავლესობასაც სწორედაც ეს შფოთიანი კითხვა უღრღნის სულს, მით უფრო, რომ ყველამ კარგად ვუწყით, ვინ ვის სკამზე ზის და ვინ რომელ ღმერთს სცემს თაყვანს.

რაც შეეხება ხელისუფლების პრობლემებს, თამამად შეგვიძლია განვაცხადოთ – იგი თავადვე იქმნის მას და ვფიქრობ, შევარდნაძის ამ აღიარებას მოგვიანებით საკადრო ცვლილებებიც მოყვება. თუმცა, საეჭვოა, ამან არსებითად შეცვალოს რამე, რადგანაც საკადრო პოლიტიკაც ისეთი აქვს ბატონ ედუარდს, რომ ერთ ნაკომუნისტარ კორუმპირებულ ჩინოვნიკს თუ გაათავისუფლებს (რა თქმა უნდა, დაუსჯელად და არა მგლის ბილეთით), მის ადგილზე მეორე, ისევ ნაკომუნისტარ, მაგრამ ცოტათი ნაკლებად კორუმპირებულ ჩინოვნიკს დანიშნავს და საბოლოო ჯამში, „კრება რჩება მხიარული“ ანუ მის ირგვლივ შემოკრებილ ბობოლათა კლანი.

ჩინოვნიკთა კორუმპირებულობასაც რომ თავი დავანებოთ, ელემენტარულად, სახელმწიფოებრივი პოლიტიკის გამტარებელი თანამდებობის პირი ამ ხელისუფლებაში თითზე ჩამოსათვლელადღაა და მხოლოდ კომუნისტური გამოცდილებით ქვეყნის მართვა რა შედეგსაც გვაძლევს, ყველასათვის დღესავით ნათელია.

ნორმალურ ქვეყნებში, კარგად უწყით, მინისტრი პირველ რიგში პოლიტიკოსია და თავის საქმეს სახელმწიფოებრივი ინტერესების დაცვით უძღვება. ჩვენთან კი მინისტრი, უკეთეს შემთხვევაში, თავისი საქმის კარგი სპეციალისტი თუ არის, სამაგიეროდ პოლიტიკაზე მწყრალად გახლავთ ან სულაც (ღმერთმა დაგვიფაროს), სხვა ქვეყნის საქმეს აკეთებს. ნათქვამის დასტურად, თუ გნებავთ, იმ ხელმძღვანელთა პოლიტიკური უვიცობაც იკმარებს, რომელთაც ნება დართეს ღია ეთერში მეგრული საუბარი გადაეცათ და მეგრულ ტერორიზმზე წამოიწყეს საუბარი.

მეგრული ტერორიზმი, ისევე როგორც მეგრული სეპარატიზმი, ბუნებაში არ არსებობს. იგი მათ მიერ მოგონილი სიტყვები და ფანდია, ვისაც ქვეყანაში კვლავ განხეთქილების ვაშლის ჩამოგდება სურს, ვისაც დიდი გამოცდილება აქვს ქაოსის, ანარქიის პირობებში მსხვილ-მსხვილი ღლავების ჭერისა და ბინძური პოლიტიკური ქულების დაწერისა. სამეგრელოში არც მაშინ, როცა იგი არაერთგზის დალაშქრეს და დიდი სიამაყით აბარებდნენ პატაკებს ზემოთ, სადაც ჯერ არს, ზუგდიდი ავიღეთო და არც ახლა, როცა იქ ერთმა, ჯერაც ბოლომდე გაურკვეველი ორიენტაციისა და მიზნების ადამიანთა ჯგუფმა მძეულები აიყვანა, სეპარატისტული განწყობა არავის გასჩენია და ეს მიუხედავად იმისა, რომ მეგრელკაცს თავის დროზე სულშიც ჩააფურთხეს, გვარ-ჯილაგიც უგინეს, ააწიოკეს, ძარცვეს, ოჯახის წევრები დაუხოცეს, გააუპატიურეს...

იმისი მაგალითები კი, იცოცხლეთ, ბევრი მოგვეპოვება, თუ როგორ ცდილობდნენ და ცდილობენ მავანნი და მავანნი, ავადსახსენებელი „მეგრული საქმისა“ არ იყოს, კვლავ და კვლავ მეგრული თემა ამოატივტივონ და მათი გაუკუღმართებული ჭკუით ვითომდაც ხალხი შეაშინონ ხელისუფლების სათავეში ე.წ. მეგრული კლანის მოსვლით. გაიხსენეთ წინა პარლამენტი, როცა ზვიკიძე თავის მეგობრებთან ერთად შტურმით შეეჭრა დეპუტატებს და რამდენიმე ხალხის „რჩეულ“ დეპუტატთან ერთად საჯაროდ შეგვაშინა: არიქა, ვიღუპებით, კვირაიას შს-ს მინისტრად დანიშვნით ხელისუფლების სათავეში მეგრელები მოვლენო.

ასე მოხდა ამჟამადაც. მავანმა და მავანმა ისევ მეგრულ ტერორიზმზე დაიწყო ბოდვა და



მეგრულიც ლამის ტერორისტთა საერთაშორისო ენად მონათლა. საბედნიეროდ, არც მაშინ და არც ახლა ქვეყნის დაქცევისათვის თავგადადებული ამ უნიჭო (ავი საქმის [illegible] თავისებური ნიჭი უნდა) ჩინოვნიკ-პოლიტიკანებს და მათ ქვეყნის გარეთ მყოფ დამქაშებს კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ. მათს ამ წაქეზებას არც მეგრელი აყვა, არც ქართველი, არც კახელი და არც სხვა კუთხის ქართველი.

ისე, სადაც სამართალია, ისიც უნდა თქვას კაცმა, რომ რაც 9 თებერვალს თბილისში მოხდა და 19 თებერვალს ზუგდიდში, თავიდან ბოლომდე გასაშიფრია, რადგანაც იმდენ შეუსაბამო, ურთიერთსაწინააღმდეგო მომენტებს შეიცავს, რომ ძალაუნებურად დაგაეჭვებს კაცს ამ ტერორისტული აქტების მიზნებისა და შესაძლო შედეგების შესახებ. ეს, რა თქმა უნდა, სპეციალისტების საქმეა და მათთვისვე მიგვინდია, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, ხომ უნდა დაადგეს საშველი ამ ქვეყანას, ხომ უნდა შეწყდეს ერთხელ და სამუდამოდ კუთხურობისა და კუთხური სეპარატიზმის გაღვივების ყოველგვარი მცდელობები და სახელისუფლებო სტრუქტურების მხრიდან ადამიანებზე კუთხურობის ნიშნით ზეწოლის ფარული კამპანიაც.

იმედი მაქვს, ხელისუფლება ახლა მანც მოეგება გონს და სახელმწიფოში ისეთ საშინაო პოლიტიკას გაატარებს, რომელიც არა ქვეყნის დაშლისა და დაქცევისაკენ იქნება მიმართული, არამედ ჭეშმარიტად მისი გაერთიანებისაკენ.

სერგო ჯანაშია

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს

ბატონ ზ.ჟვანიას

ბატონო ზურაბ,

გასული წლის სექტემბერში წარმოგიდგინეთ საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის სახელით წინადადება „გარემოს დაცვითი ნებართვების შესახებ კანონში“ ცვლილებების შეტანის მიზანშეწონილობის შესახებ, გამომდინარე საქართველოს ინტერესებიდან, და გთხოვეთ, გაგეთვალისწინებინათ საშემოდგომო სესიის მუშაობაში ჩასართავად. ჩვენთვის დღემდე უცნობია წერილზე თქვენი რეაგირების შესახებ.

ამჟამად გულისტკივილით გაცნობებთ შემდეგს:

თითქმის ერთი წელია პრესიდან დროდადრო ვიგებთ, რომ საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტში მომზადდა „კანონპროექტი რადიაციული უსაფრთხოების შესახებ“. ჩვენი მრავალგზის მცდელობა მიგვეღო კანონპროექტი გასაცნობად, უშედეგო აღმოჩნდა. როგორც ახლა ირკვევა, პარლამენტის საგაზაფხულო სესიის გეგმის მიხედვით კანონპროექტს ა.წ. 20 თებერვალს განიხილავს პარლამენტი. იბადება ეჭვი, რომ არიან პარლამენტარები, რომლებიც დაინტერესებულნი არიან აღნიშნული კანონპროექტი მიღებულ იქნას საზოგადოების გვერდის აქლით.

ჩვენი წინადადება „კანონში გარემოს დაცვითი ნებართვების შესახებ“ შესწორების შეტანის მიზანშეწონილობის შესახებ დაკავშირებულია სწორედ საქართველოს რადიაციულ უსაფრთხოებასთან და შეესაბამება საქართველოს უპირველეს კანონს – კონსტიტუციას, რომლითაც ჩვენს ქვეყანას აქვს უბირთვო სახელმწიფოს სტატუსი.

განმეორებით გთავაზობთ ჩვენს მოსაზრებას „კანონში გარემოს დაცვითი ნებართვების შესახებ“ შესწორების შეტანის შესახებ.

ი. კანონში მოცემული ობიექტების ჩამონათვალიდან, რომელთა მშენებლობა აკრძალული არ არის, თუმცა მათ, რომელთაც შეუძლიათ გარემოსა და ადამიანებს მიაყენოს გამოუსწორებელი ეკოლოგიური ზიანი, რის გამოც ექვემდებარებიან მკაცრ ეკოლოგიურ ექსპერტიზას, ამოღებულ იქნას:

ა) ატომური ელექტროსადგურების მშენებლობა;

ბ) ბირთვული საწვავის წარმოება და გამდიდრება, გამოუშავებული ბირთვული საწვავის გადამუშავება;

გ) ნებისმიერი დანიშნულებისა და სიმძლავრის ბირთვული რეაქტორების მშენებლობა“.

ამჯერად, ვეყრდნობით რა თქვენს წარმომაელობას – რადიაციული დაბინძურებისაგან დაცვის მიზნით საქართველოში მწვანეთა მოძრაობის ერთ-ერთი დამაარსებელი ხართ, – ასევე თქვენს წინასაარჩევნო პროგრამას, და საერთოდ, ატომური ელექტროსადგურების და სხვა ბირთვული ობიექტების მიმართ მსოფლიოს მწვანეთა დამოკიდებულებას, რომელთა აქტიური წარმომადგენლებიც იყავით თქვენ ახლო წარსულში, იმედს გამოვთქვამთ, რომ არ დაუშვებთ საკანონმდებლო ბაზის შექმნას ბირთვული ობიექტების მშენებლობისათვის საქართველოში.

პატივისცემით,

საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის ეროვნული კომიტეტის სახელით

ნ.ნათაძე

შევარდნაძეზე თავდასხმის ახალი ვერსია

რუსეთის აქტიურად მიყავს კვალი სხვისკენ

ვაშინგტონის ხელი?

შევარდნაძეზე თავდასხმამ და დანაშაულის ასე სწრაფმა გახსნამ ანტიტერორის სპეციალისტები გარკვეულწილად ჩააფიქრა. მათგან რამდენიმემ შეძლო თბილისში ჩასვლა, რის შემდეგაც გაჩნდა არაერთი კითხვა.

პირველი. შევარდნაძის დაცვა სრულიად პროფესიულადაა შერჩეული, მის მომზადებაში მონაწილეობდნენ ამერიკის დაზვერვის ცენტრალური სამმართველოსა და ფედერალური ბიუროს თანამშრომლები. თავდასხმის დღეს, აღნიშნულ ტრასაზე შევარდნაძის გასვლამდე 30 წუთით ადრე, მთელი გზა იქნა შემოწმებული. გარდა ამისა, მთელი ეს მონაკვეთი პოლიციის გაძლიერებული მეთვალყურეობის ქვეშაა. ამიტომაც, პრაქტიკულად შეუძლებელია ვერ შენიშნო სამი მანქანა „ბუჩებში", თანაც ერთი თეთრი ფერისა. ისმის კითხვა: მანქანებს მისცეს საშუალება, რომ იქამდე მისულიყვნენ? თანაც, სწორედ იმ დროისთვის, როცა კორტეჟი გამოჩნდა? არადა, შევარდნაძის ტრასაზე გასვლის დროზე და მისი მარშრუტის შესახებ მხოლოდ დაცვა ფლობდა ინფორმაციას.

მეორე. ესროდნენ მხოლოდ „კაპოტს". თანაც, ისროდნენ არა „რპგ"-დან ან „მუხა"-იდან კუმულიატიური ჭურვით, არამედ ჩვეულებრივი ლულიანი ნაღმტყორცნიდან, უფრო სწორად, შესუსტებული „ჭურვებიდან". „კაპოტზე" დამზნეება, - ეს ან სრულიად არაპროფესიული გასროლაა, ან პირიქით, შესაძლოა მიზნად იყო დასახული მანქანის აუფეთქებლობა და მგზავრთა სასიკვდილოდ არგანწირვა. ანტიტერორის სპეციალისტები ამტკიცებენ, რომ პროფესიონალი ესროდა მანქანის გვერდითა მინებს, რაც გაცილებით ადვილია და აუცილებლად გამოიწვევდა მანქანაში მსხდომთა სიკვდილს. საბედნიეროდ, ყველაფერი პირიქით გამოვიდა - აფეთქებისგან (ჭურვების მოხვედრისგან) გვერდითი კარებიც კი არ გაიჭედა და შევარდნაძემ დაუბრკოლებლად შეძლო მანქანიდან გამოსვლა. სხვათა შორის, „მერსედესის" ტიპის შეჯავშნული მანქანები თავის დროზე გამოსცადეს მოსკოვის გარეუბნის ერთ-ერთ პოლიგონზე და „მუხა"-მაც და „რპგ"-მაც ისე დააზიანეს მანქანა, რომ მისგან ნაწილების მხოლოდ უშნო ფორმაღა დარჩა.

ამავე დროს, ქართულმა ტელევიზიამ დიდი რაოდენობის იარაღი აჩვენა ეთერში, რომელიც გამოძიების მსვლელობაში იქნა ნაპოვნი. სრულიად შესაძლოა, ახლო ხანში გამოაცხადონ, რომ ყველა ეს იარაღი ირიცხება რუსეთის სამხედრო ნაწილების სახელზე, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზე იმყოფებიან. ბუნებრივია, იქნება დიდი სკანდალი. მაგრამ სპეციალისტები ირწმუნებიან, რომ ასეთ საქმეზე ამდენი რაოდენობის იარაღი არ მიაქვთ.

გასაგებია, რომ საქართველოში ატყდება ხმაური თვდასხმაში რუსული კვალის შესახებ. ცნობილია, რომ შევარდნაძემ დსთ-ს ხელმძღვანელთა შეხვედრაზე 19 თებერვლისთვის თავისი ჩამოსვლის პირობად საქართველოს ი.გიორგაძის საქართველოსთვის გადაცემა წამოაყენა. იგი საქართველოს უშიშროების სამსახურის ყოფილი შეფია და შევარდნაძის ოფიციალურ მოწინააღმდეგედ ითვლება. ამჟამად ცხოვრობს მოსკოში. მიუხედავად ამისა, მისი ქართული მხარისთვის გადაცემა ფრიად საეჭვოა ამ საქმეში თვით ბ. ელცინიც რომ ჩაერიოს.

პოლიტოლოგთა წრეში თავდასხმის შესახებ ასეთი ვერსიაც ფიგურირებს. იმ სახელმწიფოთაგან, რომელსაც ხელს აძლევდა სკანდალის მოწყობა და საქართველო-რუსეთის ერთმანეთზე წაკიდება, ყველაზე მეტად აშშ-ს ასახელებენ. ძირითადი მიზეზი ამისა გახლავთ საქართველოს დსთ-დან გამოყვანა და ნავთობის მაგისტრალზე სრული კონტროლის გაწევა ბაქო-საქართველოს შავი ზღვის სანაპიროს გავლით. საინტერესოა, რომ თვით შევარდნაძეც, ალბათ, ამისი წინააღმდეგი არ არის. ამერიკელები აძლევენ ქართველებს ასობით მილიონ დოლარს ჰუმანიტარული დახმარების სახით. ნავთობმაგისტრალის ამუშავებით კი გაჩნდება ახალი შემოსავლის წყარო და ქვეყანასაც შეეძლება თავისუფლად ამოსუნთქვა.

მიწაშეწონილად მიგვაჩნია შეგახსენოთ, რომ შევარდნაძემ უკვე გამოთქვა მოსაზრება აფხაზეთის კონფლიქტის ბოსნიის მეთოდით მოგვარების შესახებ. თანაც, მან ქვეტექსტებით მიანიშნა საქართველოში ამერიკის საზღვაო ქვეითი ჯარის შეყვანის შესაძლებლობაზე. აქედან გამომდინარე, 9 თებერვლის თავდასხმა შევარდნაძეზე მართლაც რომ დროულია.

ბაზეთი „არგუმენტი და ფაქტი"
19 თებერვალი, №8, 1998 წ.

ხმა ხალხიდან

ვსვამ თქვენს სადღეგრძელოს!

ჩვენმა ხალხმა ბოლო წლებში ბევრ წარმატებას მიაღწია. მაგალითად, გასულ წელს შეიტყო, რომ „ქართულმა ლუდმა" სანკტ-პეტერბურგში უმაღლესი ჯილდო - ოქროს medali დაიმსახურა.

ესვამ ბატონ ედუარდის სადღეგრძელოს მისი 70 წლის და გადარჩენის აღსანიშნავად.

მინდა დიდი მადლობა გადავუხადო მაღალ ღმერთს, რომ უბედურება მის ოჯახს არ არგუნა. პროფესიით ექიმი ვარ და სიკვდილისათვის არავის არ გავიმეტებ.

მას რომ რაიმე დამართოდა, იმ დანაპირებს ვიღა შეგვისრულებდა? განა მხოლოდ მისი ის სიტყვები, რამოდენიმე წლის წინათ რომ მოისმინეს გაძარცვულმა, სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილმა მეანაბრეებმა: ხალხო, დაწყნარდით! ყველაფერს გავარკვევთ და შეძლებისდაგვარად უძლებლივ ყველა მიიღებთ თქვენს საკუთარ თანხას, დამნაშავენი დაისჯებიან! არა! ამაზე ბევრად მეტი და მნიშვნელოვანი რამ მოგვისმენია მისგან! მაგრამ მძარცველები დუსჯელნი დადიან, ფრთაჩამოტეხილი საქართველო გმინავს. მას გათავხედებული ოსების თარეში, აფხაზების დაუძინებელი მტრობა იკლებს. არის ქართველი მოსახლეობის კარ-მიდამოს მიტოვება და გამოქცევა!

საზღვარგარეთ თქვენს პოპულარობას, მართალია, საზღვარი არა აქვს. თქვენი წყალობით გვიცნობენ, რომ ვაშენებთ დემოკრატიულ სახელმწიფოს, მაგრამ რა ხდება შიგნით? ამდენი დაუსაქმებელი ახალგაზრდობა, რომელიც ღობეყორეს ედება, ვერ პოულობს თავის ადგილს, ბევრი უმაღლესი განათლების მქონე თავის სპეციალობით არ მუშაობს, იმიტომ რომ, არცერთი ფაბრიკა-ქარხანა მწყობრში არ დგას. ოჯახის შექმნაზე გაფიქრებაც კი არ სურთ. მსოფლიოში არ მეგულება ამდენი ხელგამოწვდილი ბავშვი და ქალი, როგორც ჩვენთან არის. დაცარიელებული სოფლები, რაიონები, ქალაქები... ჩემი თვალით ვნახე საბერძნეთში და თურქეთში ყოფნის დროს, თუ რა მონურ სამსახურს და სამუშაოს ეწევიან ჩვენი თანამემამულენი. მე ვფიქრობ, მათ ეს შრომა რომ გაეწიათ თავიანთ კარმიდამოში, ალბათ ედემის ბაღში იცხოვრებდნენ. დამცირებული, სახელგატეხილნი, ოჯახებდანგრეულნი, ადამიანური იმედის თვალით იყურებიან საქართველოსაკენ. მე გავესაუბრე მათ, ყველას პასუხი ერთი იყო: სანამ ეს ხელისუფლება იქნება, ჩვენ ჩამოსვლას სამშობლოში აზრი არა აქვს.

ამ ბოლო წლებში ავადმყოფობად გვექცა ტყუილების თქმა. იწყება ორშაბათი. ეთსმენთ ტრადიციულ ინტერვიუს, ვაანალიზებთ შექმნილ მდგომარეობას, ვლაპარაკობთ მიღწევებზე, დერეფნებზე, კორიდორებზე, პროცენტობით და არა რიცხობრივად ვსაზღვრავთ ნახევრად დაცარიელებული მოსახლეობის პერსპექტივას. ვაღიზიანებთ სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილ ხალხს. რადიოტელევიზიით და გაზეთებით ვაცნობთ რესპუბლიკაში კორუმპირებული პიროვნების ვინაობას, თუ ვინ რამდენი მილიონი დოლარი მითვისა, რომელიც საზღვარგარეთის ქვეყნებიდან არის შემოსული დახმარების სახით. ბოლო სიტყვები ასეთია: მიმდინარეობს გამოძიება, შედეგებს მოგვიანებით შეიტყობთ. ამით მთავრდება ყველაფერი. ელექტრო ბლოკების აღდგენებმა ანექდოტური ხასიათი მიიღო. მეცხრე ბლოკზე რამდენი ლეგენდა დაიწერა. სირცხვილი ყველას, ვინც ეს ყველაზე მეტად მტკივნეული საკითხი დღემდე ვერ მოაგვარა! უხარისხო შუქმა ბავშვების უმრავლესობას მხედველობა დაუზიანა. რას ვერჩოდით მედიცინას, განათლებას, კულტურას, სოფლის მეურნეობას, მშენებლობას, სპორტს და მრავალ სხვას?! ახალი მეთოდები მყარდება მაშინ, თუ სახელმწიფოს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა აქვს მდიდარი. ჩვენ, გამოფხეკილებმა, ერთი დღის მარაგის გარეშე მყოფებმა მოვინდომეთ ევროპული სტანდარტების დონეზე აგვეყვანა ყველა ზემოთ ჩამოთვლილი უწყებანი. შედეგმაც არ დააყოვნა: ვხედავთ, თუ რა დღეში ჩავვარდით. პარლამენტარების უმრავლესი ნაწილი თავჩაღუნული დადის, თვალებს დაბლა ხრის და ვერ უსწორებს თავიანთ ამომრჩეველებს შეხვედრის დროს. მათ, ჩემი აზრით, თავი ვერ გაართვეს მათზე დაკისრებულ მოვალეობას.

დადის ხალხი ქუჩაში გაოგნებული, სახეზე ღიმილის ნატამალიც არ ეტყობათ. ეკითხავთ და ნაღვლიანი თვალებით გეპასუხებს: ღმერთო ძლიერო! რა დავაშავეთ ასეთი, რომ ამ მდგომარეობაში ჩავვარდით. სანამდის უნდა გაგრძელდეს ეს საშინელი სულისკვეთება!

ვეძებთ მეგობრებს შინ თუ გარეთ, ეპოულობთ ლუდვიგებს, სტანისლავებს, ვლადისლავებს და სხვებს. მათ ქართული ენის გაგონებაც კი არ სურთ. ასეთი „დემოკრატიული" ნაბიჯებით შორს ვერ წავალთ.

ვაცხადებ სახალხოდ, რომ მე, ნამდვილი გიორგი დაბადებიდან „არავისტი" ვარ. ბოლო ათმა წელიწადმა ხალხს და ჩემს ოჯახს ვერავითარი სიკეთე ვერ მოუტანა. ჩემი შეხედულებით დღევანდელი ხელისუფლება, რომელიც პერსპექტივების და მომავალი კონცეფციების გარეშე მოქმედებს, სამშობლოს ვერ გამოიყვანს კრიზისიდან. ექსპერიმენტებმა ვერ გაამართლა. საკუთარ ხალხზე ცდების ჩატარებამ შედეგი ვერ გამოიღო, ყველაფერს თავისი საზღვარი აქვს. მოთმინების ფიალა აიესო. ხალხის ბედნიერებას პირადი ინტერესები არ უნდა დავუპირისპიროთ.



უნდა გვეყოს სიბრძნე, გამბედაობა, დავძლიოთ საშინელი დაავადების სინდრომი „განდიდების მანია" და მშვიდობიანად დავთმოთ დაკავებული თანამდებობები.

მოიძებნოს ნამდვილი გიორგი, დავითი, ერის ერთგული და მოყვარული. გადაარჩინოს სრულიად საქართველო განსაცდელისაგან და დაუპვისაგან.

ღმერთო ძლიერო! შენ გადაარჩინე ჩვენი სამშობლო! სადღეგრძელო ნამდვილი თასით და ღვინით მართლაც რომ შეისმება!

ბიორბი ივანეს ძე ელიოსიძე,
ექიმი
19 თებერვალი 1998 წ.

ახალი ამბები

ბურჭულაძე ეჭვმიტანილია, მაგრამ ჯერ უნდა დაიკითხოს

„რაც არ უნდა ძლიერი მასალები არსებობდეს, რომლებიც ადანაშაულებენ კაცს, რომელიც თვითონ ჩამოვიდა ცდილობს კონტაქტი დაამყაროს ამ კაცს არ შეიძლება სტაცო ხელი და ჩააგდო ციხეში" - განაცხადა საქართველოს გენერალური პროკურორის პირველმა მოადგილემ რევაზ ყიფიანმა გეა-ს კორესპონდენტის კითხვაზე პასუხის გაცემისას, რომელიც თბილისში საქართველოს უზენაესი საბჭოს ყოფილი თავმჯდომარის მოადგილის, ნემო ბურჭულაძის თბილისში ვიზიტს შეეხებოდა.

1993 წელს საქართველოს პროკურატურამ ბურჭულაძის დაპატიმრების სანქცია გასცა ბანდიტიზმის ბრალდებით. ყიფიანის თქმით, „დღეს ნემო ბურჭულაძე ბრალდებულია. იგი უნდა დაიკითხოს, გაირკვეს ბევრი გაურკვეველი მომენტი, რის შემდეგაც გადაწყდება მისი საკითხი".

ყიფიანის თქმით, ჩვენ დღეს შერიგება გვჭირდება. „ხომ არ შეიძლება, მართლაც გახლეჩილები ვიყოთ" - განაცხადა მან. ნემო ბურჭულაძე კი როცა დაიკითხება, ბევრი საკითხი მაშინ გაირკვევა და, შესაძლებელია, იგი თავდებითაც გაათავისუფლონ. რაც შეეხება ყოფილ ფინანსთა მინისტრს, გიორგი აბსანძეს, ყიფიანის თქმით, „იგი ძებნაშია და მასზე მასალები მეტიცაა და უფრო მნიშვნელოვანიც. ვიდრე ნემო ბურჭულაძეზე". (გეა)

გოჩა ესებუა იგორ გიორგაძე არ არის

დღეისათვის გოჩა ესებუა, სერგო მესხია და ბეჟან გვაზავა ძებნაში იმყოფებიან, - აცნობა გეა-ს კორესპონდენტს საქართველოს გენერალური პროკურორის მოადგილემ, რევაზ ყიფიანმა. ყიფიანი დარწმუნებულია, რომ „ესებუას მაინც დაიჭერენ, შორს ვერსად წავა. იგი ხომ იგორ გიორგაძე არ არის, მთელი მოსკოვის სპეცსამსახურები რომ გადაეფარონ".

გეა-ს კორესპონდენტთან საუბრისას ყიფიანმა აღნიშნა, რომ მას არ გააჩნია ოფიციალური ინფორმაცია იმის შესახებ, რომ გოჩა ესებუა ჩეჩნეთში გადაფრინდა.

გამოძიებამ დაადგინა, რომ გოჩა ესებუა 9 თებერვლის ტერაქტის ერთ-ერთი ორგანიზატორი იყო.

ყიფიანი დარწმუნებულია, რომ უახლოეს მომავალში ესებუას აუცილებლად დააკავებენ. „სადაც ნახავენ, დააკავებენ და ჩამოიყვანენ" - განაცხადა გენერალური პროკურორის პირველმა მოადგილემ. (გეა)

„ტერაქტები გაგრძელდება მანამ, სანამ არ შეფასდება 1991-92 წლების მოვლენები"

პარლამენტის მსჯავრდებულთა და პენიტენციარულ საკითხთა ქვეკომიტეტის თავმჯდომარემ ელენე. თევდორაძემ აკვანის კოლონია მოინახულა.

„იფრინდა"-ს კორესპონდენტის ცნობით, პარლამენტარი შეხვდა ყოფილი უზენაესი საბჭოს დეპუტატებს ზვიად ძიძიგურს, ვალტერ შურღაიასა და ზაურ ქობალიას.

„ტერაქტები გაგრძელდება მანამ, სანამ 1991-92 წლების ცნობილ მოვლენებს შეფასება არ მიეცემა. ეს არის გაწელილი მოვლენები, რომლებიც 1991 წელს ზგამსახურდიას ხელისუფლების დამხობით დაიწყო" - განუცხადეს პარლამენტარს პატიმრებმა. როგორც ეთევდორაძემ „იფრინდა"-ს განუცხადა, მათ პარლამენტარ გიორგი ბარამიძის სიტყვები მოიშველიეს, რომელმაც ზგამსახურდიას პოლიტიკის წინააღმდეგ განხორციელებულ ქმედებებს ძალადობა უწოდა.

პატიმრების შეფასებით, საქართველოს ეროვნული მოძრაობის დისკრედიტაციისათვის რუსეთმა „ზვიადისტური" მოძრაობა გამოიყენა.

ეთევდორაძის განცხადებით, პატიმრები საქართველოში მომხდარ მოვლენებს მთავრობას აბრალებენ და დადებითად აფასებენ „ორ ხელისუფლებას შორის დაწყებულ დიალოგს". (იფრინდა)

მასალები ქართველთა და რუსთა ურთიერთობის ისტორიისათვის საქართველოში

სტუმარ-მასპინძლობა თუ მასპინძელ-სტუმრობა?!

ცნობილია, რომ 800-იანი წლებიდან რაც რუსეთმა საქართველო თავის „საკუთრებად“ გაიხადა და კავკასიაც საბოლოოდ დაიპყრო, მისი უფლებამოსილება უსაზღვროდ გაიზარდა. საქართველოში დაბალი სოციალური ფენის ხალხი რუსეთის მთავრობისათვის იყო მხოლოდ ნივთი, რომლის მოხმარება, გადაადგილ-გადმოადგილება და საჭიროების შემთხვევაში მისი თავიდან მოშორება ადვილად შეეძლო. მაგიერად სხვადასხვა ქვეყნებიდან გადმოსახლებულ უცხო ტომის ხალხს არ აკლებდა თანაგრძნობას, მამა-შვილურ სითბოს, ზრუნვას და მსუყე ეკონომიკურ-მორალურ დახმარებას. ქართული გაზეთები ახერხებდნენ მთავრობისთვის შეეხსენებინათ: „ამიერკავკასიის მკვიდრნი მეტის-მეტად შეეწროებულნი არიან უადგილო მამულობით... სამართლიანობა მოითხოვს მათთვისაც იფიქრონ და იზრუნონო“ („ცნ. ფურცელი“. 1902, 1699) მაგრამ მათი „სმა რჩებოდა სმად...“

გადმოსახლებულთადმი მთავრობის გამორჩეულმა დამოკიდებულებამ, მათზე გაწეულმა ღვაწლმა და შემწეობამ, ამის პარალელურად ადგილობრივ მკვიდრთადმი აბსოლუტურმა განურჩეველმა დამოკიდებულებამ და მათი ინტერესების მთლიანად უგულებელყოფამ, დაძაბა ატმოსფერო მოსულსა და დამხვდურს შორის, რამაც სომხებს და რუსებს გარკვეული უპირატესობის კომპლექსი გაუჩინა და ისინიც როგორც მგლები „მიესიენ“ (ი.ნაკაშიძის თქმით – მ.გ.) სრულიად დაუცველ უენებელ ქართველებს.

1860-იან წლებში ლაგოდეხი თბილისის პოლკის განკარგულებაში იყო. პოლკის უფროსმა მიწების ათვისების მიზნით იმ ტერიტორიაზე ქართველებთან ერთად ჩასახლა რუსები და სომხები. სამოსახლო ადგილები ნასყიდობის ქაღალდით დაუმტკიცეს მოახალშენე ქართველებს. გავიდა წლები და გამოაშკარავდა, რომ მხალშენე რუსობა მთავრობის მიერ ცნობილი იქნა იმ ადგილების მკვიდრ პატრონად. ამის შემდეგ ქართველებს იჯარით დასამუშავებელ მიწას აღარ აძლევდნენ. ისინი იძულებული გახადეს სახაზინო ადგილები აეღოთ, რომლის ფასი გლეხებისთვის არახელსაყრელი იყო. ჯერ სამ მანეთად აძლევდნენ დესეტინას, შემდეგ უფრო გააძვირეს. ამას დაემატა დაბალი მოსამსახურე მოხელეების ძალადობა, ქართველთა მიერ დამუშავებულ ადგილებზე პრეტენზიას რომ აცხადებდნენ მთავრობის სახელით და იჩემებდნენ კიდეც. დაბეჩავებული გლეხები კი წინააღმდეგობას ვერ უბედავდნენ „ხელმწიფე-იმპერატორის“ ამ მოძალადეებს. საბოლოოდ დადგინდა, რომ ლაგოდეხელი რუსები აძლევდნენ ქართველებს იჯარით მიწას დესეტინას ოთხ მანეთად, რუსებს გაუტკბათ უფროსობა, ძლიერთა მფარველობის ქვეშ ყოფნა და ბოლო დროს თითქმის გაარკვეს გადასახადი. ხალხს საბეითლო ფულსაც ახდევინებდნენ, იმის მიუხედავად, ჰყავდათ საქონელი თუ არა. ყოველივე ეს შემზარავი იყო უპატრონო გლეხობისათვის. ქართველებმა ყველა ინსტანციას მიმართეს თხოვნით, დაეცვათ სამართლიანობა და კანონიერება, მაგრამ ყველგან სტანდარტული პასუხი ესმოდათ: „ლაგოდეხის პატრონები რუსები არიან და რასაც დააწესებენ და მოგვთხოვენ ხმაამოუღებლივ უნდა მისცეთო“ („ცფურცელი“, 1905).

რუსების მხრიდან ასეთმა უსამართლობამ გაამწვავა ურთიერთობა სტუმარ-მასპინძლს შორის. ადვილი მისახვედრია, რომ სტუმრები ქართველები იყვნენ, მასპინძლები კი რუსები. როცა ქართველები გაორკეცებული გადასახადის გადახდაზე უარს იტყოდნენ, რუსები შეიკრიბებოდნენ, წინ ურიადნიკს გაუშვებდნენ და არბევ-აწიოკებდნენ სოფელს. ძალით მიჰქონდათ გირაოდ, რასაც კი მოიხელთებდნენ. იყო ცემა-ტყეპა, ზოგჯერ თავ-პირის დამტვრევაც.

1905 წლისთვის ურთიერთობაში გარკვეული ცვლილებები მოხდა. უფრო მეტად გააქტიურებულმა რუსებმა გამოუცხადეს ქართველებს: „თუ იმ გადასახადს არ გადაიხდით, რაც დაგიწესეთ, ძირიან-ბუდიანად აგაწიოკებთო... ილია ნაკაშიძეს (გაზ. „ცფურცელში“) მოჰყავს მაგალითები რუსების თავგასულობისა და ქართველთა უუფლებობა-ჩაგვრისა. უსამართლობით შეწუხებულმა ქართველებმა კვლავ შეიტანეს „არზა“ ზემდგომ ორგანოებში და მოითხოვეს სხვაგან მიეცათ საბინადრო მიწა. ლაგოდეხში ჩავიდა სახელმწიფო მამულების ყოფილი გამგე ბეკი. მოითხოვა ადგილის გეგმა და საკმაოდ მზაკვრული ჩანაფიქრის განხორციელებას შეუდგა. ორი თვის შემდეგ ამ საჩივრის პასუხად ქართველებს გამგეობის სახელით ნებართვა მოუვიდათ – არჩეულ მიწებზე ქუჩები გაეკეთებინათ. უმაგალითო და თავდაუზოგავი შრომა გასწიეს დაბეჩავებულმა ქართველებმა და ქუჩებით დაქსელეს ლაგოდეხის მიწები. გამგეობამ ოფიციალურად მოსწერა პოლიციას „გამოიძიეთ, გაიგეთ ვინ არიან, საიდან, ძველ სამკვიდროში ადგილები აქვთ თუ არაო“. პოლიცია, რა თქმა უნდა, მიხვდა, რას ითხოვდა გამგეობა და ისეთი პასუხიც გაუგზავნა. გლეხები მოტყუებული დარჩნენ. არც მიწა, არც ფული და არც უფლება-სამართალი. მათი ძველ ადგილზე ცხოვრება აღარ შეიძლებოდა, რადგან ამდენ უსიამოვნებას კეთილი შედეგი არ მოყვებოდა და ამ იძულებისაგან გაბოროტებულმა გლეხებმა გადაწყვიტეს, რადგან ყოველგვარი საშუალება მოგვისპეს არსებობისათვის, ქურდობა-ყაჩაღობას მივყოთ ხელი, ამ აზრიდან სამი კვირის შემდეგ მოახალშენე რუსების ახალ ნაკადს მთავრობამ მიუჩინა საცხოვრებელი ადგილები და კარგადაც მოუწყო ყოველგვარი საქმეები. ქართველები კი... ამაზე შორს ვერარ წაეა ძალმომრეობა და ციხიზმი.

ი.ნაკაშიძე სამართლიანად ილაშქრებს რუსეთის მთავრობის სამარცხვინო ქმედების წინააღმდეგ, გმობს მათ ბარბაროსულ ბუნებას. იგი წერს: „ლაგოდეხელი გლეხების თავგადასავალი ერთი ახალი გამომჟღავნებული საფარახდილი კუნჭულია რუსეთის ბიუროკრატიის სამარცხვინო მოღვაწეობისა... მათ საფარქვეშ მომწყვდეული რუსობა თანდათან ეჩვევა იმ ფიქრს, და რწმენა უჯდება ძვალ-რბილში, რომ კანონის ძალით მას და არა სხვას ეკუთვნის ბატონობა ჩვენს ქვეყანაში, რომ კანონი იმათ მხარეზეა... რადგან კავკასიის ხალხი რუსეთის მიერ დაპყრობილი არიან, ბატონობაც გამარჯვებულს ეკუთვნის... ქართველების შემავიწროებელმა ბიუროკრატიის მოღვაწეობამ გარყვნა, გაათამამა, გაალაღა კავკასიაში მოსული მოახალშენე რუსობა და ძველ მოსახლე ქართველებს მიასია“ („ცფურცელი“, 1905, 2791).

1890-იან წლებში ძველ გავაზის ახლოს რუსების სოფელი საცხენე დაარსდა. თითო ოჯახს 11 დესეტინაზე მეტი მიწა გამოუყვეს, ხოლო მის მეზობელ ქართველებს – 2,5 დესეტინა. ჯერ კიდევ 1893 წელს რუსებმა მოინდომეს სხვისი მიწების დასაკუთრება. გამწვავდა მდგომარეობა, დაერივნენ ერთმანეთს, მცირე სისხლიც დაიღვარა. დაიწყო საჩივრები და მოხდა ის, რასაც არავინ ელოდა. 10 წლის შემდეგ ე.ი. 1903 წელს ადგილ-მამულების აღენტებმა სადავო მიწები ძველ მფლობელებს არგუნეს.

ტრაგიკული ბედი ეწიათ აფხაზეთის ერთ-ერთი აყვავებული სოფლის მცხოვრებლებს 1890-იან წლებში. მთავრობის წარმომადგენელმა ერთ დღეს, მოულოდნელად განუცხადა ყველას, დაეტოვებინათ სოფელი და გადასახლებულიყვნენ იქ, სადაც თვითონ მოისურვებდნენ. სოფელში ჩაასახლეს 70 რუსის ოჯახი... იტყობინებოდა გაზ. „ცფურცელი“ (1904, 2635) და უკომენტაროდ ტოვებდა ამ ფაქტს. გაზ. „კავკაზის“ ერთ-ერთი კორესპონდენციაც უსამართლო ძალდატანების თემას ეხებოდა. 1860 წელს სოხუმის ოლქში სოხუმის მაიაკის ირგვლივ 300 დესეტინა მიწა დაუთმეს მატროსებს დასასახლებლად. რომ არავინ ისურვა იქ დასახლება, ქალაქის თავმა იჯარით გასცა მიწა მეგრელებზე, რომელთაც დიდი შრომის შემდეგ ეს ადგილები ვენახებად და ყანებად აქციეს. ოცი წლის მანძილზე 25 მეგრული ოჯახი ცხოვრობდა იქ და მეურნეობას ეწეოდა. მათ საუბედუროდ 1898 წელს ორმა რუსის ოჯახმა პოლიციაში განაცხადა იქ დასახლების სურვილი. პოლიციამ, როგორც მოსალოდნელი იყო, აუთვისებელი 160 დესეტინა მიწიდან კი არ მიუზომა ადგილი, არამედ ორი მოიჯარადე ოჯახი ძალდატანებით გაასახლა იქიდან და იმ 23 ოჯახსაც იძულებულს ხდის, დატოვოს იქაურობა, – წერდა გაზეთი. ეს საბრალო მოიჯარადრეები ყოველდღე პოლიციის სამმართველოს წინ ტრიალებენ, მაგრამ სამართალს ვერ ეღირსნენ. განზრახული აქვთ უმაღლეს მთავრობასთან ჩივილი (ქართველი გლეხის გულუბრყვილობის მაგალითი. ამის ბრძანება ხომ თვით ზემდგომი ინსტანციიდან მოდიოდა?); გაზ. „კავკაზი“ აღშფოთებას ვერ მალავდა ამ ფაქტის გამო („ცფურცელი“, 1898, 233).

რუსეთის მთავრობას ქართველები პოლიტიკურად არასაიმედო ხალხად მიაჩნდა და ფხიზლად ეჭირა თვალი. ყოველმხრივ ავიწროებდა, ეკონომიურად აღატაკებდა და ყოველ ღონეს ხმარობდა ეროვნული თვითშეგნება დაეჩლუნგებინა და ჩაეკლა მათში. ერთ-ერთი პრესტიჟული თანამდებობის პირი ვერმიშევი ამ ღონისძიების გასაძლიერებლად ასეთ აზრს სთავაზობდა მთავრობას: „დაასახლეთ შ.ზღვისპირა ადგილები რუსებით, სომხებით, ბერძნებით, მთიულ-მაჰმადიანებით... ასეთი არეული მოსახლეობა... საშიში აღარ იქნება და ზღვის სანაპიროც აყვავდება და გაგიცოცხლდებაო“. („ცფურცელი“, 1902, 1889). ბონდარენკო კი, პირიქით, იცავს ადგილობრივ მოსახლეობას. იგი აღნიშნავდა, ამიერკავკასიაში გადმოსახლებულ რუსებს იმ ადგილებს აძლევენ, რომელსაც ადრე ადგილობრივი მოსახლეობა იჯარით იღებდა და სულს ითქვამდა, თუ ეს გადასახლების საქმე არ მოისპო, ან ადგილობრივ მოსახლეთა უენებლად არ ჩატარდა, მეტად გამწვავებული აგრარული საკითხი გაჩნდება და მისი გადაწყვეტა ძნელი იქნება“ („ცფურცელი“, 1902, 1943).

პრესის ფურცლებმა მრავალი გულის შემძვრელი ფაქტები შემოგვინახა „სტუმარ-მასპინძელთა“ ურთიერთობიდან. „ცნობის ფურცლის“ კორესპონდენტი აფხაზი მოგვითხრობს: სოფაცი ყოველმხრივ შემკობილი ყოფილა მთელ აფხაზეთში. მისთვის ჩამოუჭრიათ საუკეთესო და ზედმეტი ადგილი და რუსეთის და სომხების სოფლები გაუშენებიათ. აცის სათიბი და საძოვრები ბაკლანოვკასა და პეტროვსკოეში მცხოვრებ 130 კომლი რუსის ხელში გადავიდა. მდაცის წყალიც მათ ფარგლებში მიაყოლეს. მათ შორის საზღვარი 10 კმ-ის მანძილზე აცელთა სახლების კუთხეებში ჩააყოლეს. ეს მდგომარეობა სულს უხუთავდა აცელებს. საქონლისთვის ხელი ვერ გაუშვიათ. თუ შემთხვევით რუსის ადგილში გავიდა, იგი დაიჭერს და რამდენსაც ისურვებს, იმდენს გადაახდევინებს პატრონს, თუ საქონლის დაბრუნება ისურვა; თუნდ ზამთარი იყოს და საქონელი არაფერს აფუჭებდეს, – წერდა გაზეთი. იყო შემთხვევები ერთ სულ საქონელზე 3 ან 4 მანეთს ახდევინებდნენ პატრონს, ვისაც ამის საშუალება არ ჰქონდა გულმოკლული გოდებდა – რა ვქნა, როგორ დავკარგო მარჩენალი საქონელიო. დაუცველმა აცელებმა გადაწყვიტეს, ზამთრობით ქირა აძლიონ რუსებს, რომელთაც 10 დესეტინა მიწა ჰქონდათ კომლზე, აცელებს კი ზოგს ორიც არა. სოფელმა ოლქის უფროსს სთხოვა – გვიშველეთ, განკარგულება გაეცით, ზაფხულში თავისუფლად შეგვეძლოს მდინარეზე კამეჩების გარეკვაო“ („ცფურცელი“, 1904, 237).

ამ კორესპონდენციის გამოქვეყნებიდან სამი კვირის შემდეგ იგივე აფხაზი „ქართველ უმიწაწყლო გლეხთა საყურადღებოდ“ წერდა: ყველგან ლაპარაკობენ გლეხთა უმიწობასა და მის გასაჭირზე, რომ გამოსავალი ვერ უნახავთ ამ მდგომარეობიდან, თუმცა კიდევ მოიძებნება სახაზინო მიწები, რომელზედაც მხოლოდ რუსები უნდა დაასახლონ. ამიტომ გირჩევთ, აფხაზეთში კიდევ მოიძებნება მოზრდილი ადგილები არა ზღვის სანაპირო ზოლში, უფრო იაფ ფასებში. თქვენც სომხების მსგავსად შეადგინეთ

გაგრძელება მე-8 გვერდზე

ქვეყანა ერთი კაცის თეატრად გადაიქცა

26 თებერვალს გაიმართა ქრისტიან – დემოკრატიული პარტიის პრესკონფერენცია, რომელსაც უძღვებოდნენ ფედერალური კომიტეტის სპიკერი გია ბურჯანაძე და ახალგაზრდული ორგანიზაციის პრეზიდენტი პაატა ჩეჩენიძე.

მათ გარკვეული შეხედულებები ჩამოაყალიბეს 9 თებერვლის ტერაქტთან დაკავშირებით, განიხილეს ის მოვლენები, რომელიც შეიძლება განვითარებულიყო საქართველოში.

იბადება კითხვა, თუ ვის აწყობდა მორიგი ქაოსი საქართველოში და ვის აძლევდა ხელს ეს ტერაქტი?!

ცხადია, ტერორისტები დიდი ხანი ემზადებოდნენ თავდასხმისათვის, უნდა შეერჩიათ ადგილი, შეესწავლათ კორტეჟის მარშრუტი, ეს იყო ოპერაცია განხორციელებული მოძრავ სამიზნეებზე, ამას დიდი მომზადება სჭირდებოდა. უნდა შექმნილიყო შესაბამისად პოლიგონი.

გია ბურჯანაძის აზრით, –არის ორი სახელმწიფო, რომელსაც შეეძლო ტერაქტის დაგეგმვა: პირველი, ეს არის რუსეთზე მოძრავი ღერძი, იგივე სომხური ინტერესები, რაც ბოლო დროს გამოვლინდა დესტაბილიზაციის მომენტებისთვის და ჩეჩნეთი, რომელსაც გარკვეული გამოცდილება აქვს ომში.

ხოლო რაც შეეხება აზერბაიჯანს, ის ჩვენი მეზობელი და მეგობარი ქვეყანაა.

უამრავი ფაქტი ძალიან ზედაპირულად დევს და მიგვანიშნებს, მიზანმიმართულად და ცალსახად, ე.წ. ზვიადისტურ ნაკვალევისაკენ. გია ბურჯანაძის აზრით, ისინი ათას პარტიებად არიან დაქსაქსულნი და ვერ გადაუწყვეტიათ ვინ უნდა წარმოადგენდეს ლეგიტიმური ხელისუფლებას. შესაძლებელია, ისინი გამოყენებული იყვნენ შემსრულებლებად.

დღეს ქვეყანაში ადამიანის უფლებები საგრძნობლად შელახულია. პოლიტიკურ პროცესში სხვა პოლიტიკური პარტიების ჩართვა შეუძლებელია. საქართველოში მყოფი პოლიტიკური ძალების დამარცხება ადვილად შეიძლება; არ არის დემოკრატია, არ არის დამკვიდრებული სიტყვის თავისუფლება. ეს არის მიზეზი ბოლო პერიოდის ტერორისტული აქტების, – დასძინა გია ბურჯანაძემ.

ქვეყანა გადაიქცა ერთი კაცის თეატრად და არენაზე მოძრაობაც მხოლოდ და მხოლოდ მის დაშვებით ხდება.

და ბოლოს, კონკრეტული პიროვნების დასახელებისაგან ქრისტიან – დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლები თავს იკავებენ, შესაძლებელია იმ მოტივით: „ზოგჯერ თქმა სჯობს არა თქმასა“.

ნონა დარსალია

კრიმინალური ქრონიკა

დედა-შვილი მოკლეს!

25 თებერვალს, დიდუბის პოლიციელებმა შეიტყვეს, რომ ღამით ჭიაურელის ქუჩაზე საკუთარ სახლში დაუდგენელმა პირმა ბლაგვი საგნის გამოყენებით მოკლა აღნიშნულ ქუჩაზე მცხოვრები: დედა-შვილი, 74 წლის მაყვალა და 48 წლის ნუგზარ თეთრაშვილები.

ბოჭორიშვილმა დანაშაული აღიარა!

18 თებერვალს, 10 საათზე კრწანისის პოლიციელებმა თავის საკუთარ ბინაში აღმოაჩინეს 44 წლის რუბენ ბინიაშვილის გვამი, ძალადობის ნიშნებით. „ცხელ კვალზე" გატარებული ღონისძიებების შედეგად პოლიციელებმა სადგურ „ვარკეთილის" მიმდებარე ტერიტორიაზე დააკავეს თბილისელი, 17 წლის თემურ ბოჭორიშვილი, რომელმაც 18 თებერვალს დაახრჩო რუბენ ბინიაშვილი.

სახელმწიფო ქონება მიითვისეს!

24 თებერვალს შიდა ქართლის პოლიციის სამხარეო სამმართველოს კორუფციასთან და ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის სამსახურის თანამშრომლებმა ამხილეს ქარელის რაიონის სოფელ ბრეთის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის თავმჯდომარე, ბრეთელი 58 წლის ივანე შალუტაშვილი, რომელმაც 1997 წლის დეკემბერში კოოპერატივის ტრაქტორი „ტ"-25 გაყიდა 1000 ლარად და აღნიშნული თანხა მითვისა. ამავე დღეს ლანჩხუთის პოლიციელებმა გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად ამხილეს სოფელ ჭანჭათის სასოფლო-სამეურნეო საწარმოს დირექტორი, ადგილობრივი, 58 წლის თენგიზ ნიჩუა, რომელმაც 1996 წლის ივნისში გზების შეკეთებისათვის გამოყოფილი 5000 ლარიდან სახელმწიფო სბიუჯეტო გადასახადების სახით 1564 ლარი დააკლო. საიდანაც 390 ლარი მითვისა.

21 თებერვალს გურიის პოლიციის სამხარეო პოლიციის კორუფციასთან და ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის სამსახურის თანამშრომლებმა ამხილეს ოზურგეთის პურკომბინატის №10 მაღაზიის გამგე-გამყიდველი, ოზურგეთელი, ლიანა თევზაძე, რომელმაც 1997 წლის იანვარ-თებერვალში პურის რეალიზაციის შედეგად მიღებული 562 ლარი მითვისა.

934 ცხვარი მითვისა!

24 თებერვალს კახეთის პოლიციის სამხარეო სამმართველოს კორუფციასთან და ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის სამსახურის თანამშრომლებმა ამხილეს ახმეტის რაიონის სოფელ დუისის მეურნეობის ბრიგადირი, 43 წლის თენგიზ ქავთარაშვილი, რომელმაც 1997 წლის მარტში მითვისა აღნიშნული მეურნეობის 33502 ლარის ღირებულების 834 ცხვარი.

დათვზე ნადირობდა და...

23 თებერვალს მარტვილის პოლიციელებმა შეიტყვეს, რომ სოფელ სალხინოში მცხოვრებმა, ნასამართლევმა, 24 წლის დათო ხურცილავამ მთაზე ნადირობისას არარეგისტრირებული საანდირო თოფით ფეხში ჭრილობა მიიყენა, თოფი №4805 ამოღებულია. ხურცილავა მოთავსებულია ქუთაისის საავადმყოფოში, მიმდინარეობს მოკვლევა.

ძროხის ქურდები დააკავეს!

24 თებერვალს ლანჩხუთის პოლიციელებმა ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე დააკავეს, სოფელ შუხუთში მცხოვრები 49 წლის გენო ფირცხალაიშვილი, რომელმაც 1994 წლის აგვისტოში თანასოფლელ გრიგოლ ჯაფარიძეს მოპარა ძროხა. დააკავეს 23 წლის გური ორაგველიძე, რომელმაც 1993 წლის დეკემბერში მეზობელს გიორგი ორაგველიძეს ძროხა მოპარა.

ქურდობის ფაქტზე მცხეთის პოლიციელებმა დააკავეს ტყიბულელი, 39 წლის შალვა ქურციკიძე, რომელმაც თბილისში მცხოვრებ აკაკი შენგელიას სოფელ გლდანში არსებულ სააგარაკო ნაკვეთიდან მოპარა 24 ბეტონის ფილა. ბათუმის პოლიციელებმა ყაჩაღობის ფაქტზე დააკავეს ბათუმელი 21 წლის დავით ჯანელიანი, რომელმაც მოტეხებით შეაღწია მერი დოლიძის ბინაში და დანის მუქარით 250 ლარი და ოქროს სამკაულები გაიტაცა. ბათუმის პოლიციელებმა იმავე დღეს დააკავეს 23 წლის ირაკლი ბაბილოძე, რომლის სახლიდანაც ამოიღეს ორი ხელყუმბარა „ფ"-1 დეტონატორით, 3 ასაფეთქებელი ნივთიერება ტროტილი და 16 კალიბრიანი გადაჭრილი უნომრო თოფი.

კაბელის ქურდები!

24 თებერვალს სამგორის სისხლის სამართლის სამმებროს და არასრულწლოვანთა საქმეების ინსპექციის თანამშრომლებმა სატელეფონო კაბელების ქურდობის ტაქტზე დააკავეს თბილისელები: 14 წლის გიორგი კოპაძე, 108-ე საშუალო სკოლის მოსწავლე 14 წლის ოგანეზ ვაგარშაკის ძე ვართანიანი და მე-2 საშუალო სკოლის მოსწავლე 14 წლის ზურაბ ვახტანგის ძე ნუკრაძე, რომელთა მიერ გადაჭრილი კაბელების ღირებულება 505 ლარს შეადგენდა.



ნაძალადევის პოლიციელებმა დაბა წყალტუბოში დააკავეს თბილისელები: 14 წლის თენგო თენგიზის ძე ცენტარიძე და 35-ე საშუალო სკოლის მოსწავლე 15 წლის დავით იოსების ძე დავითაშვილი, რომლებმაც 21 თებერვალს გაქურდეს თბილისში მდებარე მოსწავლე-ახალგაზრდობის ტექნიკური შემოქმედების ცენტრი. იმავე დღეს კრიმინალური პოლიციის თანამშრომლებმა თბილისში დააკავეს გლდანელი, 18 წლის ვალერი საზანდაროვი, რომელმაც თბილისელ ია გახელაძეს ხელჩანთიდან საფულე ამოაცალა. გლდანის პოლიციელებმა მატარებელი ღონისძიებების შედეგად მუხიანის საგარაკო ნაკვეთში დააკავეს, 38 წლის თამაზ კასრაძე, რომელმაც თბილისელ ივანე ნებიერიძის საგარაკო სახლიდან კარ-ფანჯრები და სხვადასხვა სამშენებლო მასალები მოიპარა.

მაღაზიაში გვამი აღმოაჩინეს!

23 თებერვალს 19 საათზე ნაძალადევის პოლიციელებმა თემქის დასახლების მე-4 მიკრორაიონში მდებარე ყოფილი „ნახევარფაბრიკატების" მაღაზიის შენობაში აღმოაჩინეს მუდმივი საცხოვრებელი ადგილის არმქონე, პირველი ჯგუფის ინვალიდის, 51 წლის გიზო შოთას ძე არზიანის გვამი ძალადობის ნიშნების გარეშე.

მოვრალმა დედამ შვილი მოკლა!

24 თებერვალს 22 საათზე ქუთაისის პოლიციელებმა შეიტყვეს, რომ ქუთაისში მცხოვრებმა, არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფმა 29 წლის ოქსანა ვასილის ასული კლიმენკომ კედელზე თავის მირტყმით მოკლა თავისი შვილი 5 თვის დარია ვახტანგის ასული კლიმენკო. კლიმენკო დაკავებულია.

იმავე დღეს 17 საათზე ქობულეთში, სოფელ კვირიკეში მცხოვრებმა, 33 წლის ზაურ მესხიძემ ურთიერშელაპარაკებისას ავტომატური იარაღით მოკლა სოფელ ხუცუბანში მცხოვრები, 36 წლის ლევან ბაჯელიძე. მესხიძე დაკავებულია. ავტომატი „აკმ" ამოღებულია. წინა დღით ადრე კი ლანჩხუთის პოლიციელებმა შეიტყვეს, რომ 17 საათზე სოფელ ქვიანის ტერიტორიაზე მცხოვრებმა 23 წლის კახა მელიქიძემ მუშტის დარტყმის შედეგად თავის ნაცარალური ხორცის ფარში. ჩატარებული ორგანოლეპტიკური და მიკრობიოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით პროდუქცია არ შეესაბამება სტანდარტებს და სერთიფიკაციის წესების მოთხოვნებს დაექვემდებარება განადგურებას.

„ბიჭებმა" გაასეირნეს

22 თებერვალს, იმერეთის საგზაო პოლიციას განცხადებით მიმართა ხარაგაულის რაიონის სოფელ ვერტყვიჭალაში მცხოვრებმა ზაზა ბლიადაძემ, რომ დაუდგენელმა პირებმა სოფელ ხეკიდან ავტომანქანა გაიტაცეს. „ცხელ კვალზე" გატარებული ღონისძიებების შედეგად სოფელ ხუნევში დააკავეს 20 წლის კობა ტაბატაძე, 26 წლის ზაზა გრიგალაშვილი და 20 წლის ზვიად ტაბატაძე. ავტომანქანა დაუბრუნდა მფლობელს.

17 წლის „კარმანშჩიკი"

21 თებერვალს, ხონის საგამოძიებო და პროკურატურის თანამშრომლებმა, გატარებული ღონისძიებების შედეგად დააკავეს ხონელი, 17 წლის დავით ჯიშკარიანი, რომელმაც 14 თებერვალს გივი ეზუგბაიასთან და გიორგი აკობიძესთან ერთად ყაჩაღური თავდასხმა მოახდინა ლევან ჯიშკარიანის ოჯახზე. პოლიციელებმა დადგინეს, რომ ჯიშკარიანმა 1997 წლის მარტში გაქურდა ხონელები: სულიკო წივწივაძე და დავით გოგავა, ხოლო ოთარ კობალიანს ჯიბიდან 40 ლარი ამოცალა.

რიგითი რომანოვი დაიხჯება!

22 თებერვალს გლდანის სისხლის სამართლის სამმებროს სამსახურის თანამშრომლებმა დააკავეს საქართველოში დისლოცირებული შეიარაღებული ძალების სამხედრო ნაწილის რიგითი, გლდანში მცხოვრები 21 წლის დიმიტრი რომანოვი, რომელმაც 1997 წლის 26 სექტემბერს სხვა პირებთან ერთად გაქურდა ლევან ნონიაშვილის ბინა.

სპორტის სერიალი მეორდება!

ამ დღეებში ფოთის საერანსპორტო რეგიონული, კორუფციასთან და ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის სამსახურის თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ყალბი საბუთების საშუალებით, სახელმწიფო გადასახადის დიდი ოდენობით თავის არიდების ფაქტზე ამხილეს ფოთელი 46 წლის კონსტანტინე ბარამიძე, რომელმაც 14 იანვარს ფოთში მდებარე „ვეორვეიან ტრანსექსპედიციის" საბაჟო საწყობიდან ყალბი საბუთებით ვლადიკავკაზის ფირმა „იაგურსტოკ" კომპანიის ბეჭედდასმული მინდობილობით გაიტანა ამერიკული ფირმა „კომერციალ ალკოჰოლ ინს"-ის 11180 ლიტრი სპირტი, რომელიც გააფორმა როგორც ტრანზიტული ტვირთი, ვლადიკავკაზში წასადები. ფაქტიურად კი სპირტი სარეალიზაციოდ შეიტანა ბათუმში მდებარე ფირმა „ოდიშში", რითაც კბარამიძემ დამალა დასაბეგრი თანხა 25180 ლარი.

ბათუმის ფირმა „ოდიშიდან" ამოღებულია 50 ლიტრი სპირტი. ბარამიძისაგან ამოღებულია 2 ცარიელი ვლადიკავკაზის ფირმა „იაგუარსტოკ"-ის ბეჭედდასმული ფურცელი. აღიძრა სისხლის სამართლის საქმე. ბარამიძე გაშვებულია ხელნაწერით.

დანაშაული არ შერჩათ!

24 თებერვალს სენაკის პოლიციელებმა დააკავეს დეზერტირობისათვის პროკურატურის მიერ ძებნილი 21 წლის ელდარ დადუნაშვილი.

ქარელის პოლიციელებმა დააკავეს ხულიგნობის ჩადენისათვის ძებნილი 38 წლის ხაილი კოსტუნენკო-გელაშვილი.

ჭიათურის პოლიციელებმა დააკავეს სოფელ შუქრუთში მცხოვრები 19 წლის რატი გაფრინდაშვილი, რომელმაც 16 თებერვალს გაქურდა დარბაიძის ავტომანქანა.

24 თებერვალს სამგორის პოლიციელებმა დააკავეს იარაღის, საბრძოლო მასალებისა და ფეთქებად ნივთიერებათა უკანონოდ ტარებისათვის ძებნილი, ხუთჯერ ნასამართლევი 38 წლის ალექსანდრე კასოევი.

შსს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად ქ.სოჭში დააკავეს მარხეულის პოლიციის მიერ სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების ქურდობისთვის ძებნილი, 30 წლის გეორგ ხახატურიანი. პოლიციელებმა გატარებული ორგანიზებულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად ქვეკატერინბურგში დააკავეს საპატიმროდან გაქცევისათვის ძებნილი 28 წლის ხვიჩა ბარდაველიძე.

გლდანის პოლიციელებმა დააკავეს დეზერტირობისათვის ძებნილი, 21 წლის დავით წიქვაძე.

ვანის პოლიციელებმა დააკავეს ქურდობისთვის ძებნილი 36 წლის გიორგი გოგოლაშვილი.

ლაგოდეხის პოლიციელებმა დააკავეს ჯარში გამოცხადებისათვის თავის არიდებისათვის ძებნილი 25 წლის იკრამ სეიდოვი.

24 თებერვალს ოზურგეთის პოლიციელებმა დააკავეს საპატიმრო ადგილიდან გაქცევისათვის ძებნილი, 44 წლის ოთარ ვალერიანის ძე კიკვაძე.

24 თებერვალს ხულოს პოლიციელებმა დააკავეს სამხედრო ქონების განზრახ განადგურებისთვის, ქუთაისის რეგიონული სამხედრო პროკურატურის ძებნილი 20 წლის გენადი ბოლქვაძე.

24 თებერვალს გალის პოლიციელებმა ზუგდიდში დააკავეს ქურდობისათვის ძებნილი 32 წლის მამუკა ჯახაია.

25 თებერვალს ზუგდიდის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლისა და სისხლის სამართლის სამმებროს მთავარი სამმართველოს, გულუას სახელობის სპეცდანიშნულების რაზმის და ზუგდიდის პოლიციის თანამშრომლებმა დააკავეს ხულიგნობაზე და იარაღის უკანონო შენახვისათვის ძებნილი, 37 წლის თორნიკე ლაგვილავა.

25 თებერვალს კასპის კრიმინალური და ადმინისტრაციული პოლიციის თანამშრომლებმა დააკავეს სხვულის განზრახ მძიმე დაზიანების ჩადენისათვის ძებნილი 22 წლის ზურაბ ხოკერაშვილი.

ლანჩხუთის პოლიციელებმა დააკავეს სახელმწიფო, საზოგადო ქონების გატაცებასა და ქურდობისთვის, სატრანსპორტო პოლიციის სამტრედიის სამსახურის მიერ ძებნილი, 36 წლის ვაჟა ჩაგანავა.

25 თებერვალს ნაძალადევის რაიონის პოლიციელებმა დააკავეს დეზერტირობისათვის ძებნილი 24 წლის გიორგი კიბაბიძე და 45 წლის ვაჟა მანდარია.

შსს პრეს-ცენტრი
ხათუნა ნოზაძე

ახალი ამბები

მოკლულია უშიშროების ყოფილი მინისტრის ვაჟი

ქალაქის პოლიციის მთავარი სამმართველოდან გეა-ს კორესპონდენტს აცნობეს, რომ 26 თებერვალს დაახლოებით 01 საათზე თბილისში, ბახტრიონის ქუჩის მე-11 კორპუსში მკვლელობა მოხდა.

აღნიშნულ სახლში პირველ სართულზე მცხოვრები ახალგაზრდა მერაბ ლაბარტყავა თავის მეგობრებთან ერთად დაბადების დღეს ზეიმობდა, გვერდზე სადარბაზოში მცხოვრებმა, უშიშროების ყოფილი მინისტრის, შოთა კვირაიას ვაჟმა ოთარ კვირაიამ, რომელიც მთვრალ მდგომარეობაში იმყოფებოდა, ბინიდან რამდენჯერმე გამოიყვანა იუბილარი. მერაბ ლაბარტყავას მამის თქმით, მათ შორის არასასიამოვნო საუბარი წარიმართა, რომლის დროსაც ოთარ კვირაია ცეცხლსასროლი იარაღით ემუქრებოდა მეზობელს. ამის გამო, სიტუაციის გამწვავების თავიდან ასაცილებლად, იუბილარის მამამ კვირაიას დაცვის მოსაყვანად გააგზავნა თავისი მეუღლე. მაგრამ დაცვის მოსვლამდე ოთარ კვირაიამ ცეცხლსასროლი იარაღით ყველის არეში მძიმედ დაჭრა მერაბ ლაბარტყავა. აღშფოთებულმა სტუმრებმა კვირაია ბინაში შეათრიეს და სუფრის დანებითა და ჩანგლებით წამებით გამოსალმეს სიცოცხლეს. მერაბ ლაბარტყავა მძიმე მდგომარეობაში რეანიმაციის განყოფილებაში იმყოფება. (გეა)

ესებუას ეძებენ

25 თებერვალს გეიან ღამით ზუგდიდში გაიმართა საგანგებო ოპერატიული შტაბის სხდომა, რომელზეც მიმოიხილეს არსებული სიტუაცია და დამატებითი ღონისძიებები. შტაბის წევრის, ლევან კენჭაძის თქმით, უშიშროებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების მიერ ერთობლივად ჩატარებული ოპერაციის შედეგად სამართალდამცავ ორგანოებს 13 ტერორისტი ჩაბარდა. ხოლო ესებუამ, გვაზავამ და უგულავამ გაქცევა მოახერხეს. ამჟამად მიმდინარეობს მოძიების ღონისძიებები. რაც შეეხება მძევლებს, ყველა გათავისუფლებულია. მეოთხე ბოლოს დარჩენილმა მძევალმა მთვრალ მდგომარეობაში მოახერხა სახლიდან გაპარვა, შემდეგ იგი რაციით დაუკავშირდა თავის თანამშრომლებს და დაახლოებით საათნახევრის შემდეგ მიაღწია კიდეც შტაბში. (გეა)

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრაფი დაბრუნდა

შტეფი გრაფის სახელი ჩოგბურთის მოყვარულთათვის კარგად არის ცნობილი. იგი იმ ჩოგბურთელთა რიცხვს მიეკუთვნება, რომლის დამარცხებაც თითქმის შეუძლებელი იყო. სამწუხაროდ, ფინანსურ გაუგებრობებს (მამამისი შემოსავლების დაფარვის გამო დააპატიმრეს) ტრავმაც დაერთო. აღდგენითი პერიოდი დიდხანს გაგრძელდა. მას რვა თვე დასჭირდა იმისთვის, რომ ჩოგბურთს დაბრუნებოდა. შტეფი ჯერ კიდევ შარშან აპირებდა თამაშს ავსტრალიის ღია ჩემპიონატში, მაგრამ ტრავმა გაურთულდა.

გერმანიის ჰანოვერის ასპარეზობის წინ, რეიტინგში იგი 49-ე ადგილზე იყო, მაგრამ ორგანიზატორებმა გაითვალისწინეს მისი წარსული და ტურნირზე მეორე ნომრად განათავსეს. სამწუხაროდ, მას არ გაუმართლა და მეოთხედფინალში წააგო ბელგიელ რაბინა აპელმანსთან.

რას აპირებს გრაფი მომავალში, ძნელი სათქმელია. რაც მთავარია, იგი ჩოგბურთს დაუბრუნდა.

ეშველება თუ არა რამე ქინქლაძეს

ქართველი ფეხბურთის გულშემატკივრები მესამე წელია, მანჩესტერელ გულშემატკივრებზე არანაკლებ განიცდიან „სიტის“ სათამაშო დონის დაქვეითებას. იგი ჯერ პრემიერლიგიდან გავარდა, ახლა კი მეორე ლიგიდან გავარდნის კანდიდატთა სიაშიც აღმოჩნდა. ჩვენი შეშფოთება გამოწვეულია იმის გამო, რომ ამ გუნდში გიორგი ქინქლაძე თამაშობს. იგი ხომ თავის დროზე ყველაზე პერსპექტიულ ფეხბურთელად ითვლებოდა. სამწუხაროდ, „სიტისთან“ ერთად მასაც აშკარად დაეტყო უკუსვლა, რადგან თავის შესაძლებლობების ორმოც პროცენტსაც ვერ ამჟღავნებს. თავი და თავი გუნდის სუსტი თამაშია, რომელიც აშკარად არ შეესაბამება გიოს დონის ფეხბურთელს. როგორც იქნა, დაადგა საშველი გიოსაც და გულშემატკივრებსაც. დღედღეზე იგი სხვა გუნდში გადავა. მისი შესაძენი ფული „ევერტონს“ გადანახული აქვს, მაგრამ გიოს მენეჯერი საუკეთესო ვარიანტის ძებნაშია. შარშან მისი შეძენა სურდათ ისეთ გუნდებს, როგორებიც არიან „ლივერპული“, „აიაქსი“, იტალიის რამდენიმე გუნდი, მაგრამ ქინქლაძემ ვერ უღალატა მანჩესტერელ გულშემატკივრებს. სამწუხაროდ, დრო შეიცვალა და ალბათ გიოც დატოვებს „სიტის“. ჩვენ კი ისღა დაგვრჩენია, ვიმედოვნოთ, რომ ისევ ისეთი გიო ვიხილოთ მინდორზე, როგორიც ჩვენ გვინდა.

იქნებ ახლა მაინც გაუმართლოს ბებერ რაშს

უელსის ნაკრების ვეტერანი, ლეგენდარული იან რაში, ინგლისის ჩემპიონატის მეორე დივიზიონის მკვიდრ „შევალ იუნაიტედში“ გადავიდა. რაში შარშან „ლივერპულიდან“ „ნიუკასლში“ გადავიდა, მაგრამ ძირითად შემადგენლობაში იქაც ვერ მოიკიდა ფეხი. იმედია, ეხლა მაინც გაუმართლებს ბებერ იანს.

მოამზადა ზურაბ დავითაია

სპორტის სამყარო

საქართველოს 1997-1998 წ.წ. IX ჩემპიონატის პირველი ჯგუფის II წრის კალენდარი

6-10 მარტი

თასის 1/4 ფინალი

XVI ტური

13 მარტი - პარასკევი

1. ლოკომოტივი თბილისი – ტორპედო ქუთაისი

14 მარტი - შაბათი

2. თსუ თბილისი – კოლხეთი – 1913 ფოთი
3. გურია ლანჩხუთი – მერანი-91 თბილისი
4. მეტალურგი რუსთავი - დინამო თბილისი
5. სამგურალი წყალტუბო – დილა გორი
6. მორკინალი თბილისი – მარგვეთი ზესტაფონი
7. მაღაროელი ჭიათურა – ოდიში ზუგდიდი
8. სიონი ბოლნისი – დინამო ბათუმი

XVII ტური

18 მარტი ოთხშაბათი

1. დილა – დინამო თბ.
2. დინამო ბთ. – მაღაროელი
3. ოდიში – ლოკომოტივი
4. მარგვეთი – სამგურალი
5. თსუ – მეტალურგი
6. ტორპედო – გურია
7. კოლხეთი-1913 – სიონი

19 მარტი ხუთშაბათი

8. მერანი-91 – მორკინალი

XVIII ტური

22 მარტი კვირა

1. ლოკომოტივი – დინამო ბთ.
2. გურია – ოდიში
3. მაღაროელი – კოლხეთი-1913
4. მეტალურგი – დილა
5. სიონი – თსუ

23 მარტი ორშაბათი

6. დინამო თბ. – მარგვეთი
7. სამგურალი – მერანი-91

24 მარტი - სამშაბათი

8. მორკინალი – ტორპედო

XIX ტური

28 მარტი - შაბათი

1. თსუ – მაღაროელი
2. კოლხეთი-1913 – ლოკომოტივი

29 მარტი - კვირა

3. ოდიში – მორკინალი
4. სიონი – მეტალურგი
5. ტორპედო – სამგურალი
6. მერანი-91 – დინამო თბ.
7. მარგვეთი – დილა
8. დინამო ბთ. – გურია

XX ტური

1. აპრილი - ოთხშაბათი

1. ლოკომოტივი – თსუ

2. აპრილი - ხუთშაბათი

2. მორკინალი – დინამო ბთ.
3. მეტალურგი – მარგვეთი
4. დილა – მერანი-91
5. სამგურალი – ოდიში
6. გურია – კოლხეთი-1913
7. მაღაროელი – სიონი

3. აპრილი - პარასკევი

8. დინამო თბ – ტორპედო

XXI ტური

6 აპრილი - ორშაბათი

1. სიონი – ლოკომოტივი
2. დინამო ბთ. – სამგურალი
3. კოლხეთი-1913 – მორკინალი
4. მაღაროელი – მეტალურგი
5. თსუ – გურია
7. აპრილი – სამშაბათი
6. ოდიში – დინამო თბ.
7. ტორპედო – დილა
8. მერანი-91 – მარგვეთი

XXII ტური

10 აპრილი - პარასკევი

1. მორკინალი – თსუ
11 აპრილი – შაბათი
2. გურია – სიონი
3. მეტალურგი – მერანი-91
4. მარგვეთი – ტორპედო
5. დილა – ოდიში
6. დინამო თბ – დინამო ბთ
7. სამგურალი – კოლხეთი-1913
12 აპრილი – კვირა
8. ლოკომოტივი – მაღაროელი

14 აპრილი სამშაბათი

თასის 1/2 ფინალი

XXIII ტური

16 აპრილი - ხუთშაბათი

1. ლოკომოტივი – მეტალურგი

17 აპრილი - პარასკევი

2. სიონი – მორკინალი
3. ტორპედო – მერანი-91
4. მაღაროელი – მერანი-91
5. თსუ – სამგურალი
6. კოლხეთი-1913 – დინამო თბ.
7. დინამო ბთ. – დილა
8. ოდიში – მარგვეთი

XXIV ტური

22 აპრილი - ოთხშაბათი

1. გურია – ლოკომოტივი
2. მეტალურგი – ტორპედო
3. მარგვეთი – დინამო ბთ.
4. დილა – კოლხეთი-1913
5. დინამო თბ – თსუ
6. სამგურალი – სიონი

23 აპრილი - ხუთშაბათი

7. მორკინალი – მაღაროელი

24 აპრილი - პარასკევი

8. მერანი-91 – ოდიში

26 აპრილი - კვირა

თასის 1/2 ფინალი

XXV ტური

28 აპრილი - სამშაბათი

1. ლოკომოტივი – მორკინალი
2. გურია – მეტალურგი
29 აპრილი – ოთხშაბათი
3. დინამო ბთ – მერანი-91
4. მაღაროელი – სამგურალი
5. სიონი – დინამო თბ.
6. თსუ – დილა
7. კოლხეთი-1913 – მარგვეთი
8. ოდიში – ტორპედო

XXVI ტური

2 მაისი - შაბათი

1. მორკინალი – გურია
3. მაისი – კვირა
3. სამგურალი – ლოკომოტივი
3. მეტალურგი – ოდიში
4. ტორპედო – დინამო ბთ.
5. მარგვეთი – თსუ
6. დილა – სიონი
7. დინამო თბ. – მაღაროელი
4 მაისი – ორშაბათი
8. მერანი-91 – კოლხეთი 1913

XXVII ტური

7 მაისი - ხუთშაბათი

1. გურია – სამგურალი
2. დინამო ბთ. – ოდიში
3. მაღაროელი – დილა
4. ლოკომოტივი – დინამო თბ.
5. სიონი– მარგვეთი
9. მაისი – პარასკევი
6. კოლხეთი-1913 – ტორპედო
7. თსუ – მერანი-91
8. მორკინალი – მეტალურგი

XXVIII ტური

12 მაისი - სამშაბათი

1. ტორპედო – თსუ
2. სამგურალი – მორკინალი
3. მეტალურგი – დინამო ბთ.
4. ოდიში – კოლხეთი-1913
5. მერანი-91 – სიონი
6. მარგვეთი – მაღაროელი
7. დილა – ლოკომოტივი
8. დინამო თბ. – გურია

XXIX ტური

18 მაისი - ორშაბათი

1. მაღაროელი – მერანი-91
2. ლოკომოტივი – მარგვეთი
3. სამგურალი – მეტალურგი
4. მორკინალი – დინამო თბ.
5. გურია – დილა
6. სიონი – ტორპედო
7. თსუ – ოდიში
8. კოლხეთი – 1913 – დინამო ბთ.

XXX ტური

22 მაისი - პარასკევი

1. მერანი-91 – ლოკომოტივი
2. დინამო ბთ – თსუ
3. მეტალურგი – კოლხეთი-1913
4. ოდიში – სიონი
5. ტორპედო – მაღაროელი
6. მარგვეთი – გურია
7. დილა – მორკინალი
8. დინამო თბ. – სამგურალი

26 მაისი, სამშაბათი,

თასის ფინალი

ალექსანდრე სუვოროვი

ალ.სუვოროვი, დიდი რუსი სარდალი, სუსტი და უმწეო ბავშვი იყო დაბადებიდან. ის რომ ძველ საბერძნეთში შობილიყო, სპარტანელები ტაიგეტის კლდიდან გადაისროდნენ, ასეთი იყო ძველი სპარტის მკაცრი კანონი - ყველა სუსტს კლავდნენ.

რას მიაღწია სუვოროვმა განუწყვეტელი წრთობით? მან შეძლო არმია ალპებზე გადაეყვანა. მანამდე არმია ალპებზე გადაიყვანა ნაპოლეონმა, მაგრამ დიდი სარდალი მაშინ ახალგაზრდა გახლდათ. სუვოროვმა კი ეს გმირობა მოახდინა სამოცდაათი წლისამ, თანაც ქარბუქსა და ყინვაში.

სუვოროვი გამუდმებით იკაჟებდა თავის ორგანიზმს, ხშირად ეძინა ჩალაზე, ბანაობდა ყინულჭრილში, თოვლით იზელდა ტანს, შუაღამისას მოახტებოდა უბელო ცხენს და ბანაკში დააქროლებდა, ისიც თავსხმა წვიმაში.

ეს საინტერესოა

მაკედონელი

ბრწყინვალე ფიზიკური მომზადების, კლასიკური აღზრდის მაგალითი ოდესღაც იყო ალექსანდრე მაკედონელი. იგი ბავშვობიდანვე ბაძავდა გმირ აქილევსს, გადაცურა ბოსფორის სრუტე. ჭაბუკმა გახედნა ველური ცხენი ბუცეფალი. ბრწყინვალედ სტყორცნიდა შუბს. შუა აზიაში, ამუდარიას ნაპირებზე ამაძონთა ჯარი დაამარცხა. ამბობენ და ერთი მათგანი ცოლად შეირთოო. ეს იყო მისი სამასმესამოცე ხასა.

ამბობენ, იმასაც, რომ მაკედონელი ქალის შერთვამდე ქალს ვერ გაენდო. შეირთო კი სპარსეთის მეფის დარიოსის ასული როქსანა, რომელიც ტყვედ ჩაიგდო, როცა დამარცხებული დარიოსი გაიქცა. მანამდე უყვარდა მხოლოდ მემნონის ქვრივი, ტყვე ბარსინა (პლუტარქე).

მაკედონელმა ინდოეთამდე მიაღწია, მაგრამ უკან გამობრუნებული ავად გახდა და ოცდაცამეტი წლისა გარდაიცვალა.

საინტერესოა მისი სიკვდილის ისტორია: ისტორიკოსი არიანე გვარწმუნებს, რომ ალექსანდრე მოწამლა მისმა მასწავლებელმა, დიდმა ფილოსოფოსმა არისტოტელემ. სამსალა გამოიგონა და ჯორის ჩლიქში შეინახა: შხამი სტიქსი შლიდა ლითონს, ნალს, ჩლიქში კი ინახებოდა. როცა ქარავანი საბერძნეთიდან ბაბილონში ჩავიდა, სადაც მაკედონელი იმყოფებოდა, მეფის მწდემ კასანდრამ ჩლიქიდან შხამი ამოიღო და ეს მომაკვდინებელი სამსალა მისმა მახლობლებმა სარდალს ღვინოში ჩაუწვეთეს.

სამხრეთის სიცხეში გვამის ჩასვენება ბაბილონიდან ეგვიპტის ალექსანდრიაში შეუძლებელი იყო, მაგრამ უცხო ქვეყანაში დატოვება არ უნდოდათ მის თანამებრძოლებს. ბოლოს გამოსავალი ნახეს: გაძლო სამასი წელი, არ გახრწნილა და არ უცვლია სახე.

პირველ საუკუნეში ოქტავიანე ავგუსტუსმა ეგვიპტე დაიპყრო და გახსნა სამარხიდან ამოღებული კუბო, რომელშიდაც მაკედონელი ესვენა. ოქტავიანე გაოცებული დარჩა, რომ ნეშტი ჩინებულად იყო შენახული. სწორუპოვარი სარდლის თავი გვირგვინით შეამკო, გულზე კი ყვავილები მიაყარა.

სტუმარ-მასპინძლობა თუ მასპინძელ-სტუმრობა?!

მეხუთე გვერდიდან

ჯგუფი, შეკარით ამხანაგობები და ასე, ერთბაშად შეიძინეთ ადგილები, რომელთაც მიწის მეპატრონეები შედავათიან ფასებში მოგყიდიან, თორემ ხომ ხედავთ, ყველაფერი უარესობისკენ მიდისო.

სწორად ხედავდა საქართველოს მომავალს აფხაზი. ქართველი თავადის, აზნაურის და მოხელეთა ფიქრი და აზრი ქართველ გლეხს და ქართულ მიწას აღარ დასტრიალებდა თავს. საზოგადოებრივ-პოლიტიკური თუ ეკონომიკური ცხოვრების სფეროში მომხდარი ცვლილებები ძალის პოზიციიდან მომდინარეობდა. კოლონიური პოლიტიკის მოხერხებულად განხორციელების წყალობით, მძლავრი მძლავრობდა საქართველოში და მისი მზრუნველობის ქვეშ მყოფთაც მძლავრის კომპლექსს უნერგავდა, ხოლო დამორჩილებულ ხალხს – არასრულფასოვნების კომპლექსს. ეს მომენტი ყველა მოვლენაში მეტ-ნაკლები სამხილით იჩენდა ხოლმე თავს.

ზემო აჭარის სოფ.'ულოში დასახლებულ რამდენიმე კომლი რუსისთვის ქუთაისის გუბერნატორმა იშუამდგომლა ეკლესიის აგებასა და მღვდელ-მედავითნის დანიშვნაზე, მაშინ, როცა ქართველების ეკლესიებსაც ითვისებდნენ, მიწასაც და, ამავე დროს, უსირცხვილოდ ატყუებდნენ კიდეც.

სიღნაღის არახელსაყრელი მდებარეობის გამო „ქალაქის პატრონებმა" წინადადება მისცეს სოფლების: ჭოტორის, ნუკრიანის და მაღაროს ნახევარ მოსახლეობას – სულ 1000 სულს – შეერთებოდნენ სიღნაღს იმ პირობით, რომ მიწები შერჩებოდათ და, შემთხვევით, მოქალაქეები თუ ვერ გახდებოდნენ, „მუიკის" ნაცვლად „მესჩანინი" მაინც დაერქმეოდათ. მოსახლეობის ნაწილი მაშინვე წინააღმდეგი წასულა, მაგრამ ამ საქმის მესვეურებმა ხალხს „წინასწარ გამზადებულ განაჩენზე" ნაწილს ძალით მოაწერინეს ხელი, დარჩენილთა მაგივრად მათი ხელმოწერები თავიანთი სახლის მეშვეობით დააფიქსირეს და ასე შეუერთეს ეს სოფლები სიღნაღს. გარკვეული დროის შემდეგ მთავრობა მათ მიწებს წამოედაეა – ან აქაურობა დატოვეთ ან „მიწის ხარჯი" გადაიხადეთო. ეს ხარჯი კი დიდი იყო და წლითი წლობით იზრდებოდა, რაც გლეხებისათვის აუტანელი ხდებოდა. სწორედ ამ დროს მათ ჩამოაჭრეს საუკეთესო მიწები და მალაკნებს მისცეს. დარჩენილი ნაწილი საჯარო ვაჭრობით გაყიდეს. ამაოდ იხვეწებოდნენ გლეხები, დაგვიბრუნეთ ძველი წოდება და უფლებებიო, მაგრამ ამაოდ. „აგერ უკვე 30 წელია. – წერდა „ცნობის ფურცელი" – სისტემატურად ყოველწლიურად ან ორ წელში ერთხელ აგზავნიან განცხადებებს ზემო ინსტანციებში, საიდანაც უცვლელი პასუხი მოსდით, „თქვენ მოქალაქენი ხართ, გირჩევნიათ, ასევე დარჩეთ, ხოლო მოქალაქეებს მიწები არ ეკუთვნითო". ამას ისიც დაემატა, რომ პრესის ცნობით, იმ მიწებს, რომელსაც მაღალ ფასებში მოიჯარადრეებიდან ღებულობდნენ, ახლა ახალგადმოსახლებულ რუსებს აძლევენ და

მირეკვის უფლებას. რუსები არ დათანხმდნენ. სიტუაცია კვლავ დაძაბული დარჩა. „დაჩაგრული ქართველები ლამისაა სასოწარკვეთილებაში ჩაცვივდნენ. უმიწა-წყლო მუშები გარეთ ეძებენ სამუშაოს, აფხაზეთშიაც მუშაობენ თავგანწირეით ახოების ასაღებად, მაგრამ ვისთვის მუშაობენ, ერთი წლის შემდეგ ხომ იქ რუსები უნდა ჩაასახლონ?" – კითხულობდა გაზ. „ცფურცელი" (1904, 14 მარტი).

ქართული მოწინავე ინტელიგენციის პროგრესული ნაწილისათვის თავზარდამცემი იყო, გაუგონარი სითავხედე და უნაპირო პრეტენზიები „ამიერკავკასიის სომხთა პეტიციისა", კონკრეტულად ის ნაწილი რომელიც ითვალისწინებდა „...ნაკლებ მიწა-წყლიან და უმიწა-წყლო გლეხებს (იგულისხმებოდა სომხები – მგ.) უპირატესობა ჰქონოდა თავისუფალ სახაზინო ადგილებში დასახლებისა... და „ნება მისცემოდა კერძო საკრედიტო დაწესებულებებს ოპერაციები მოეხდინათ საგლეხო მიწების გამოსყიდვისათვის". ეს იმას ნიშნავს – აღშფოთებით წერდა გაზეთი – ხელში ჩაიგდონ სოფლის მიწები დასაკუთრების საშუალებით.

ქართველი ერის დისკრიმინაციის მცდელობა ჩანდა ბიუროკრატიული მთავრობის საქმიანობის ყველა უბანზე. 1902–05 წლებში თბილისის სასულიერო სემინარიაში ირიცხებოდა 499 მოსწავლე. კურსი დაამთავრა 91-მა. აქედან ქართველი იყო 36. სემინარიის ხელმძღვანელობამ უკანასკნელი ოთხი წლის მანძილზე სასულიერო აკადემიაში გააგზავნა მხოლოდ ერთი ქართველი. მიმდინარე წელს ბერძენს აგზავნიან – წერდა გაზ. „ცფურცელი". კომენტარი ზედმეტია.

1905 წელს ეროვნულობის კედლის მორღვევით შეძრწუნებულმა სოციალისტ-ფედერალისტებმა გაბედული განაცხადი გააკეთეს. „საჭიროა განსაკუთრებული კანონები, რომელიც უნდა გამოცემულ იქნან ქართველების ეროვნული არსებობის და განვითარების უზრუნველსაყოფად". ეს იყო პასუხი „ამიერკავკასიის სომეხთა პეტიციისა", რომელიც მრავალი მუხლისაგან შედგებოდა და თითოეული მათგანი, როგორც ჩანს, ამიერკავკასიის მთავრობის პოლიტიკური კურსის მხარდაჭერას და განხორციელებას ისახავდა მიზნად, ცხადია, მთავრობისავე კარნახით („ცფურცელი", 1905, 2764).

შირაქის ველზე რუსების დასახლების ცნობა მეხის დაცემის ტოლფასი იყო იმ სოფლებისათვის, ვინც ამ ველით საუკუნეების მანძილზე სარგებლობდა (თიანეთი, მაღაროსკარი, იღურთა, ომალო, ნაცისკარი, დართლოსი, არნისი და სხვ.), მოიწვიეს კრება და კარგად დასაბუთებული დადგენილება გამოიტანეს: „ვიშუამდგომლოთ მთავრობის წინაშე, რომ საუკუნეებით მონიჭებული უფლებანი არ წაგვართვას და შირაქში არავინ დაასახლოს". საქმის მოსაგვარებლად აირჩიეს ლ.რაზიკაშვილი და ივ.ცისკარიშვილი („ცფურცელი", 1905, 2727). დიდი მწერალი ვაჟა-ფშაველა უდიდესი გულისტკივილით წერდა პრესაში: „ვხედავთ, ეს შირაქიც გვერთმის, რადგან აქ სხვა ხალხი სახლდება. ჩვენ კი ჩვენი ცხვარ-ძროხით ერჩებით მდინარისაგან გარიყული თევზივით, თუკი ათასი მთის იქიდან მოსულს ეკუთვნის შირაქი, ჩვენ რატომ აღარ, ადამის ჟამიდან აქა ვცხოვრობთ და აქა ვბინადრობთ... აღარ ვიცით, რად არის ჩვენს თავს ეს უბედურება".

რამდენიმე დღის შემდეგ მთავრობამ ინება და პრესის საშუალებით აცნობა მომჩივან ხალხს ერთი შეხედვით დამაიმედებელი, მაგრამ ამავე დროს ციხიზმით შეფერადებული პასუხი. „მთავრობას რუსების ჩასახლება გადაწყვეტილი აქვს 12 წლის შემდეგ, როცა მე შეიძლება გუბერნატორი არ ვიყოვ".

გადმოსახლებულთა და დამხვდურთა ურთიერთობა უნდობლობასა და დაუნდობლობაში ვლინდებოდა. ქართველები არ ენდობოდნენ მათთან „სტუმრად" მოსულ ხალხს, „სტუმრები" კი დაუნდობლად ჩაგრავდნენ და აივიწროებდნენ მათ. ქართველი თუ წინათ „იარაღით იცავდა თავს და სამართალსაც ამავე ხერხით აღწევდა, ახლა უიარაღოს და უუფლებოს ცხოვრება ძალიან უჭირდა. უსამართლობა ყვაოდა, უიმედობა ისადგურებდა არა მარტო ქართველო მშრომელი გლეხობის, არამედ ჭეშმარიტი მამულიშვილების, ქართული მოწინავე ინტელიგენციის ეჭვით დაღრღნილ გულებში. მართალია, წინ რევოლუციის ცეცხლი გიზგიზებდა, მაგრამ გათავისუფლებოდა თუ არა ტანჯული საქართველო რუსთა ბატონობისაგან, ეს ჯერ კიდევ არავინ იცოდა.

მაყვალა გაჩეჩილაძე

საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის ეროვნული კომიტეტის

განცხადება

კანონპროექტთან „ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების შესახებ" დაკავშირებით

მიგვაჩნია რა, რომ საკანონმდებლო ბაზის შექმნა ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სფეროში მეტად მნიშვნელოვანია საქართველოსათვის, მივესალმებით ასეთი კანონპროექტის შექმნას. იგი არათუ დროული, დაგვიანებულიც კია.

თუმცა კანონპროექტის ირგვლივ გვაქვს სერიოზული შენიშვნები, რომელთა შესახებ წერილობით უკვე ეცნობა საპარლამენტო კომიტეტს.

ამჯერად თქვენს ყურადღებას შევაჩერებთ რამდენიმე მათგანზე.

ჩვენი უმთავრესი ყურადღება ეთმობა ბირთვული მასალების, რადიოაქტიური ნივთიერებებისა და მაიონიზებელი გამოსხივების სხვა წყაროების ტრანზიტს საქართველოზე გავლით. მიგვაჩნია, რომ აღნიშნული ნივთიერებების გადასაზიდად საქართველოს ტერიტორიის დაკანონება იქნება დიდი შეცდომა, თუ დანაშაული არა. ჩვენი ქვეყნის რადიაციული დაბინძურების რისკის ხარისხის გაზრდა სხვა სახელმწიფოთა ინტერესებისათვის დაუშვებლად მიგვაჩნია. ამიტომ კანონპროექტში შეგვაქვს შესწორება, რომლის თანახმადაც უნდა აიკრძალოს რადიოაქტიური ნივთიერებების ტრანზიტისა და რექსპორტის მიზნით საქართველოს ტერიტორიის გამოყენება.

ასევე დაუშვებლად მიგვაჩნია საქართველოში ბირთვული საწვავის წარმოება (გამდიდრება, რეგენერაცია) და ამ მიზნით ბირთვული ობიექტების აშენება.

ვფიქრობთ, მნიშვნელოვანია კანონპროექტით შემოთავაზებული რადიაციული და სახელმწიფო ინსპექციის შექმნა, რომელსაც ევალება ამ დარგში საქმიანობის ლიცენზირება, მაგრამ აუცილებლად მივიჩნევთ დაემატოს მუხლი, რომლითაც ლიცენზიის გამცემი – ანუ სახელმწიფო ინსპექცია – პასუხისმგებელი იქნება უბედურ შემთხვევაზე და რადიაციულ ავარიაზე, თუ იგი მოხდა ლიცენზიის მოთხოვნებთან ბირთვული და რადიაციული საქმიანობის პირობების შესაბამისობის შემთხვევაში. ასეთი მუხლი მნიშვნელოვანი ბერკეტი იქნება უბედური შემთხვევებისა და რადიაციული ავარიების რისკის ხარისხის შესამცირებლად.

და ბოლოს, ჩვენ გთავაზობთ, კანონპროექტს დაემატოს მუხლი საკვები პროდუქტების, სასურსათო ნედლეულის, სასმელი წყლის, სამშენებლო მასალების განადგურების წესი, როცა ისინი არ პასუხობს რადიაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფის მოთხოვნებს.

გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის საფინანსო დეკლარაცია 1997 წლის საანგარიშო წლისათვის

რიგითი ნომერი	შემოსავალი	გასავალი
	3769 ლარი გაზ. „საქართველო"	230 ლარი – გადასახადი ტელეფონებით სარგებლობისათვის; 161 – სამეურნეო ხარჯები; 3378 – შეხვედრები მოსახლეობასთან.



საზღვრები

გაზეთი „საქართველო“ რუბრიკით „საზღვრები“ იწყებს მე-20 საუკუნის ევროპულ ხელოვნებაში მიმდინარე პროცესების განხილვას, კერძოდ, იმ პროცესებისა და მოვლენების, რომელმაც თავის მხრივ საქართველოში ჰპოვა გამოძახილი.

I

ყველაზე დიდი ძვრები მოდერნის ხელოვნების განვითარებაში მოხდა საფრანგეთში. მე–19 საუკუნის პირველ ნახევარში პარიზი სახვითი ხელოვნების და საერთოდ კულტურის დიდ ცენტრად გვევლინება. აქ იბადება ის ელემენტები, რომლებიც შემდგომში ხელს უწყობს თანამედროვე ხელოვნების განვითარებას.

მე–19 საუკუნის ბოლოსთვის კი ყურადღებას იქცევს არა მხოლოდ საფრანგეთი, არამედ გერმანიაც, სადაც მოდის მთელი თაობა მხატვრებისა, რომლის წარმოშობაც გარკვეულ წილად სეზანის, ვან გოგის, გოგენის, ხურეს შემოქმედებამ განაპირობა. უფრო მოგვიანებით კი ამ მხატვართა შემოქმედება პასუხობს საფრანგეთში მოღვაწე მხატვრების: მუნშის, მატისის, ფლამინსკისა და პიკასოს შემოქმედებას. პირველ რიგში ამ თაობას, რომელიც ასე ადრე და ასე მყარად მოდის თავისი საკუთარი წარმოდგენებითა და სუბიექტური ხედვით, და რომლებმაც ფაქტიურად აამოძრავეს თანამედროვე ხელოვნების განვითარება, განეკუთვნებიან გერმანელი ექსპრესიონისტები. 1871–1918 წლებში გერმანიაში ყალიბდება ე.წ. კულტურული მეტროპოლიები რეგიონალური ცენტრებით. მაგალითად, როგორებიც იყვნენ: დიუსელდორფი, მიუნხენი, ვაიმარი, დრეზდენი. ამან გამოწვია კულტურული ცხოვრების დანაწევრება სხვადასხვა სკოლებად, რომლებსაც სხვადასხვა ტრადიციები და ტენდენციები ჰქონდათ, რაც, რასაკვირველია, განსაზღვრავდა მათი ხელოვნების მრავალსახეობას, მრავალგვარობას, ამავე დროს მათ შორის წინააღმდეგობასა და შეუსაბამობას, რაც თითქმის დღემდე ახდეს გავლენას გერმანულ კულტურაზე.

II

სამი დიდი ჯგუფი თავისი იდეებითა და ხედვით, რომლებიც გერმანულ ხელოვნებას 1933 წლამდე, ვაიმარის რესპუბლიკის დასასრულამდე და ნაცისტების მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდებამდე ჭედავდნენ, იყვნენ: „ხიდი“, „ცისფერი რაინდი“ და „ბაუჰაუზი“.

„ხიდი“ აღმოცენდა დაახლოებით იმავდროულად, როცა პარიზში „გარეულები“ (ფაუვეს) გამოჩნდა. „ხიდის“ ჩამოყალიბება, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ეფუძნება გოგენის, ვან გოგის, სურეს შემოქმედებას, მუნშისა და ტულუზლოტრეკის გრაფიკას. რაც შეეხება „გარეულებს“, ისინი გატაცებულნი იყვნენ პრიმიტიული კულტურებით. დაახლოებით იმ დროს, როცა დრეზდენის ციხეების ეთნოგრაფიის განყოფილებაში კირხნერი თავისთვის სწავლობდა ზანგური პლასტიკის გამოხატვის ელემენტარულ ხერხებსა და ძელზე კვეთას, პარიზში ფლამინსკი, პიკასო და სხვები, ამოდიან აფრიკული მასკების შთაგონებიდან. ის, რაც „ხიდსა“ და „გარეულებს“ სხვებისაგან გამოყოფდა, იყო „ხიდის“ მიერ კვლავ გახსნა გერმანული გვიანგოთიკური ხის კვეთის ტრადიციებისა. მათი ექსპრესიული გამარტივებით კირხნერი და მისი მეგობრები ისევე იაილებოდნენ, როგორც მატისი და ზოგი მხატვარი „გარეულებიდან“ იაპონური ხის კვეთის ხელოვნების სიბრტყობრიობითა და ფერადოვანი სახვითობით.

„გარეულებისა“ და „ხიდის“ განვითარება სხვადასხვა მიმართულებით წავიდა. გამოხატულების ის მშფოთვარე ძალა, რომელსაც „გარეულების“ სურათები 1905 წლისთვის აჩვენებდნენ, თანდათან მშვიდდება. მატისისთან ეს მიდის დიდ დეკორამდე, როპულთან მოდერნულ ხატამდე, ტერაინი კუბიზმის გარემოში იქცევა. მხოლოდ ფლამინსკი რჩება ტიპიურ „გარეულად“, ყოველ შემთხვევისთვის იქამდე, სადამდეც მას საკუთარი ვიტალიტეტი ჰყოფნის. „ხიდის“ მხატვრები კი აღწევენ უკიდურეს გამარტივებასა და აგრესიულ წამახვილებას ფორმისას, ფერის გაბასრებას. ფაქტობრივად ის, რაც „გარეულებისთვის“ ამოსავალი წერტილი იყო, დრეზდენელებისთვის გახდა უმაღლესი წერტილი და ოსტატობის მაჩვენებელი. ეს ხდებოდა დაახლოებით 1907/08 წლებში. როდესაც ვადარებთ ამ დროს „ხიდის“ მხატვრებისა და გარეულების“ მიერ შექმნილ სურათებს, ვხედავთ, თუ რამდენად უფრო „გარეულები“ არიან „ხიდის“ მხატვრები, რომლებიც კირხნერის გარშემო ერთიანდებიან, ვიდრე ის „გარეულები“, რომლებიც მატისის გარშემო იყვნენ. ვხედავთ თუ რამდენად კუთხოვანი, წახნაგოვანი და წაწვეტებული ფორმები „ხიდის“ მხატვრების სურათებში. მაგრამ კიდევ რაოდენ აგრესიული, ნერვული, გაშმაგებული, მკაცრი და უხეში შეიძლება ყოფილიყო მათი ფერადოვნება, რომ არა ის ჰარმონიული გრძნობა ბუნებასთან და ინტიმურ პეიზაჟთან მარტოდ ყოფნისა, რომელიც ფორმების სიბასრეს აცხრობს და ფერთა „შკალას“ ჰარმონიულად უხამებს ერთმანეთს.

„ხიდის“ მხატვრები და „გარეულები“ თავიანთ მისწრაფებაში „გამოხატულებისკენ“, როგორც მათი მხატვრობის პირველ მიზანთან, იყვნენ შემჭიდროვებულნი და გაერთიანებულნი. მაგრამ სიტყვა „გამოხატულება“ მათთვის არ ნიშნავს იმას, რასაც ეს სიტყვა პირდაპირ მნიშვნელობით იტევს. „გამოხატულება“ „ხიდის“ მხატვრებისთვის ნიშნავდა მათთვის ენებას, მგზნებარებას, სამყაროს ექსტატურ მიღებასა და გათავისებას. იმ დროს, როცა მატისი და მისი მეგობრები ისწრაფვოდნენ ხელოვნების „წონასწორობისკენ“, სისუფთავისა და სიმშვიდისკენ, „ხიდის“ მხატვრებისთვის „გამოხატულებასა“ და მათ მიერ მოცულ თემებს ერთმანეთში უნდა გადაედნოთ ის „ერთი“ გაეხადათ ის გრძნობები და ობიექტი, რომელსაც ისინი მიმართავდნენ. „გარეულებთან“ კი გრძნობებისა და ფორმის, ემოციისა და კომპოზიციის ბალანსები ერთმანეთს ეწინააღმდეგებოდა.

დიახ, არის არსებითი განსხვავება საფრანგეთსა და გერმანიას შორის. ფრანგების ხელოვნების საწყისები უშუალოდ ფორმის ჩვენებაშია, ხოლო გერმანელები კი შემოვლითი (არაპირდაპირი) გზით გამოხატავდნენ იმ ინდივიდუალურ სამყაროსა და სულიერ ცვლილებებს, რომელიც მათში ხდებოდა. და აქედან გამომდინარე, ისინი ხსნიან იმ განსხვავებულ მხატვრულ მეთოდებს, იმ მკვიდრ მხატვრულ ხერხებს, ფერს, ფორმას, სიბრტყესა და ნახატს, რომელიც მხოლოდ მათი საკუთრებაა.

ნათია ბახტაძე
ხელოვნებათმცოდნე



ვაჰ, დროინ, დროინ...

ძვირფასი ადამიანები

რამდენი დიდი, ნიჭიერი ადამიანი დაგვნანებია, მოგვნატრებია, უსუსრულობაში გარდასულთაგან გული გვტკენია და გვიფიქრია, ნეტავ იმ დროსო...

ამ რუბრიკით გთავაზობთ მოგონებებს იმ დიდ ადამიანებზე, რომელთაც წარუშლელი კვალი დატოვეს ქართულ ხელოვნებაში – კინოში, თეატრში, მხატვრობაში, მუსიკაში, მწერლობაში...

დაე, ყველას ისე უყვარდეს თავისი პროფესია, როგორც ამ ნიჭით სავსე ადამიანებს უყვარდათ.

ამჯერად გთავაზობთ ცნობილი მსახიობის – ბატონ *გოგი ხარაბაძის* მოგონებებს.

ნომრის სტუმარია მსახიობი გოგი ხარაბაძე

ჩემთვის ყველაზე ძვირფასი თვით ადამიანია, ზოგს ცხოველები უყვარს, ზოგიც რაღაცას აგროვებს, მე ამას არასოდეს ვაკეთებდი. ადამიანი იმდენ და იმხელა ადგილს იკავებს ჩემს ცხოვრებაში, მათთან იმდენს ვხარჯავ და იმდენს ვიღებ, სხვა რამისათვის არაფერი აღარ მრჩება. ჩემი ყოფა ჩემი საქმეა, სამი შვილი და შვილიშვილები, აგრეთვე ჩემი პირადი ცხოვრება. თუკი რაიმე შემიქმნია და გამიკეთებია, იმ დროს, როცა ვინმე ძალიან მიყვარდა, ჩემი ოცნება იყო ყოველთვის ადამიანი. ამ გზაზე ხან ემარცხდებოდი, მაგრამ იმდენი კარგი ადამიანი შემხვედრია, რომ ეს დიდ ბედნიერებად მიმაჩნია. თავად წარმოიდგინეთ, რომ ვერ შეეხვედროდი ამდენ ნიჭიერ ხელოვანს – სესილია თაყაიშვილს, აკაკი ხორავას, სერგო ზაქარიაძეს... ასეთი ნიჭიერი ადამიანები ჩემს ირგვლივ ყოველთვის იყენენ და დღესაც არიან. ლამაზი მოგონებები, ჩემთვის ყველაზე ძვირფასია.

სერგო ზაქარიაძე

როცა მოსკოვში საინტერესო თეატრალური წარმოდგენა იმართებოდა, მე და ჩემი თაობის ახალგაზრდა მსახიობები ას მანეთს ვიშოვიდით და მოსკოვში გაერბოდით. 60-იან წლებში მოსკოვში ჩამოვიდა შექსპირის თეატრი სტრადფორდიდან, რომელიც აჩვენებდა „მეფე ლირს“ – (პიტერ ბრუკის დადგმა) სპექტაკლები სამხატვრო თეატრის ფილიალში მიდიოდა. ბილეთის შოვნა, ვერ შევძელით. ვინ გვიცნობდა ან რობერტ სტურუას ან გოგი ქავთარაძეს, ან მე ქუჩა ორივე მხრიდან გადაკეტილი იყო. პრაქტიკულად შეუძლებელი იყო სპექტაკლზე უბილეთოდ მოხვედრა. გავიხედე და მოდის ვიღაც ვეება კაცი, დიდი, ძლიერი ნაბიჯებით. დავაკვირდი და... სერგოა, ზაქარიაძე! თეთრი წვერი ჰქონდა, ძლიერი იყო და ულამაზესი, თითქოს ჰემინგუეისაც ჰგავდა. დამინახა და მომიმხლოვდა – რა გინდა, ბიჭო აქ?! მკითხა საოცრად აღერსიანი ხმით.

სპექტაკლის სანახავად ჩამოვედი-მეთქი. – ვუთხარი. მარტო ხარ? – არა, სტურუა და ქავთარაძე იყვნენ აქ, ალბათ იშოვეს ბილეთი და შევიდნენ.

არც მე არა მაქვს ბილეთი... მითხრა განწირული ხმით.

ამ დროს გონება გამინათდა – ბატონი სერგო სსრ კავშირის სახალხო არტისტი გახლდათ. ადმინისტრატორთან რომ მისულიყო, ვინ ეტყოდა უარს ბილეთზე, მაგრამ ძალიან მორიდებული იყო და უზომო თავმდაბლობის ზღვარს მთელი სიცოცხლე ვერ გადააბიჯა. მე ვიცოდი ეს და ამიტომ არც შემიხსენებია, რომ შეეძლო თავისი სტატუსი გამოეყენებინა.

– შესვლა გინდათ, ბატონო სერგო? – ვკითხე – კო. – მითხრა. მე მაქვს ბილეთი – მეთქი.

ოი, შენ აგაშენა ღმერთმა – გაშალა ხელები. მიბრძანდით წინ, ბატონი სერგო მიბრძანდით და გამოგყვებით. წინ გავუშვი. მიდის სერგო თავისი დიდი ნაბიჯით და მთელი მისი გარეგნობა, საოცარ ძალას ატარებს. მილიციელები ისე გაიწიენენ აქეთ-იქით, თითქოს ჰიპნოზის ზემოქმედების ქვეშ აღმოჩნდნენო, სერგო გაატარეს. სერგომ უკან მოიხედა, იმედი აქვს, რომ მე ბილეთით უკან მიდევე. მთ კი იმიტომ გამატარეს, სერგომ მე რომ შემომხედა, ავიარეთ კიბე. მებილეთეებს მივესალმე. სერგომაც თქვა – გამარჯობათო, და გაგვატარეს. შევედით თეატრში. გათავდა ყველაფერი... გარდერობთან მივედით, პალტოებს ვიხდით და უკვე გახარებულმა იმ იმედით, რომ ერთად გავიცინებდით ამაზე ეუთხარი, ასე იყო მეთქი.

რაა? – მითხრა – ნუ ლაპარაკობ, კბილ.

– კი, ასე და ასე იყო – მეთქი.

– მომეცი ჩემი პალტო – მითხრა. თითქოს გამებუტა და მიდის უკან. – რას შვრებით, ბატონო სერგო? არა, ბიჭო, უბილეთოდ უხერხულია – რას იფიქრებს ხალხი. ვცდილობდი დამერწმუნებინა, სერგო ზაქარიაძე ბავშვივით გულუბრყვილო და უაზრობამდა პატიოსანი იყო. როგორც იქნა დავითანხმე დარჩენაზე. დგას აწურული პარტერის კარებში. ვუყურებ და ვფიქრობ, რომ ასეთ მდგომარეობაში ის არაფრის მაყურებელი არ არის და ცოტა არ იყოს კიდეც შემეცოდა. ძალიან საყვარელი იყო. თითქოს დატუქსულ ბავშვს ჰგავდა – ეს ბუმბერაზი კაცი. ბოლოს ვუთხარი: მივიდეთ ადმინისტრატორთან. უთხარით ვინცა ხართ და სკამებს მოგცემენ-მეთქი. აჰ, არა კაცო, უხერხულია. ამჯერად უკვე ველარ ვიმოქმედე ოთხი საათის განმავლობაში ფეხზე იდგა ჩემთან ერთად და ასე უყურებდა სპექტაკლს.

ვფიქრობ, ასეთი შემოქმედი იშვიათად იბადება – ნებისმიერ ერსა და ნებისმიერ დროში. ქართულ თეატრს, მისი დღეგრძელობისათვის თუნდაც იშვიათად, მაგრამ აუცილებლად უნდა ჰყავდეს ასეთი შვილები. ერთ-ერთი საუბრის დროს მან მითხრა. აქტიორისათვის. სამი რამ არის საჭირო: „ნიჭი, შრომისმოყვარეობა და ბედი“.

ვერიკო ანჯაფარიძე

ვერიკო ანჯაფარიძე, მე ვთვლი, იყო უდიდესი მსახიობი, რომელმაც მხრებით ატარა მარჯანიშვილის თეატრი წლების განმავლობაში.

სტუდენტი ვიყავი, როცა აღადგინეს კ.მარჯანიშვილის სპექტაკლი „ურიელ აკოსტა“. ვერიკო იედიითის როლს თამაშობდა, ურიელს – პიერ კობახიძე. ამ სპექტაკლში ვერიკო რაღაც საოცრება იყო – ღვთიური.

გათავდა პირველი მოქმედება, ველოდებით მეორეს და აღარ იწყება.

თურმე, ქალბატონმა ვერიკომ, სანამ სცენაზე გამოვიღოდა, ხელი მოიტეხა. სპექტაკლი უნდა შეწყვეტილიყო. ამაზე ვერიკომ უარი თქვა. წაიყვანეს საავადმყოფოში და ხელი ჩაუსვეს თაბაშირში. ამასობაში ანტრაქტი ერთ საათს გრძელდებოდა. წარმოგიდგენიათ?! იხსნება ფარდა და დგას თაბაშირში ხელჩასმული ივდითი. განა შეიძლება ამაზე აუღელვებლად ლაპარაკი? თხუთმეტი წუთის განმავლობაში დარბაზში ტაში არ შეწყვეტილა.

სესილია თაყაიშვილი

რითი იწყებოდა ჩემი და ქალბატონი სესილიას ურთიერთობა? – გონებით.

– შე კრეტინო, იდიოტო, დებილო, ვირშვილო და კიდევ სხვა მისთანანი, ქაღალდზე რისი გადატანაც არ შეიძლება.

მახსოვს, ჩემი ერთ-ერთი გადაცემის ეთერში გასვლის შემდეგ დამირეკა და მითხრა: – დეგენერატო!

– გისმენთ, ქალბატონო სესილია!

– აი, ახლა წადი და შეგიძლია, სადაც მოგესურვება, იქა თქვა, რომ ჩემი მოწაფე ხარ.

ალბათ, ამაზე დიდი ჯილდო ჩემთვის არ არსებობდა. ვიფიქრე ახლა რაც უნდა ის დაწეროს თეატრმცოდნემ, მე ჩემი უკვე მიღებული მაქვს მეთქი. და მართლაც, არც ერთ საქებარ სიტყვას თუ ოფიციალურ ჯილდოს არ გავუხარებიარ ისე, როგორც მაშინ იმ „დეგენერატომ“ გამახარა...

მახსოვს, შესვენების დროს, შავ პურს ჭამდა. აი, რა მიამბო ქალბატონმა სესილიამ:

– „მე ბებია, ილიკო და ილარიონში“ რომ ვითამაშე, შემდეგ ტოვსტონოგოვმა დადგა ლენინგრადში და შემომითვალა, ბებია ითამაშე. მე შეეუთვალე, რუსულად ვერ ვითამაშებ-მეთქი. ორი თვის მერე შემომითვალა, ქართულად ითამაშო. ვერ ვითამაშებ-მეთქი. სამი თვის მერე წერილი მომივიდა: ჩემი თეატრი ლონდონში მიდის გასტროლებზე, პატრიოტი არა ხარ? არ გინდა ინგლისში ქართველი ქალი ითამაშო? ვერ წავედი – თქვა ქალბატონმა სესილიამ და გაჩუმდა. – რატომ? ეკითხე გოცებულმა. შემეშინდა! – მითხრა ქალბატონმა სესილიამ.

საოცრება არ არის, რომ სესილია თაყაიშვილს თავის მიერ გენიალურად ნათამაშები როლის სხვა სამყაროში გამეორებისა შეეშინდა? რა შიშზე იყო ლაპარაკი? შემოქმედებით შიშზე, ან უფრო ზუსტად, სიფრთხილეზე, რომელიც ყველა ხელოვანს თან უნდა ახლდეს, და ბოლოს, ნამდვილ შემოქმედებით თავმდაბლობაზე.

ეროსი მანჯგალაძე

ეროსი მანჯგალაძე პარადოქსებით სავსე კაცი იყო. ერთხელ, სამხატვრო საბჭოზე ასეთი ამბავი მოხდა: სერგო ზაქარიაძე იმხანად თეატრის დირექტორი იყო. მოვიდა და თქვა – აი, ამოვისუნთქე, რაც დირექტორი ვარ, სულ ეროსის პრობლემა მაწვალებს. წუხელის მიეხვდი, რა უნდა ითამაშოს ეროსიმ. ეროსიმ უნდა ითამაშოს შეიდლოკი. – მერე ეროსის მიმართა, ადგა ეროსი და უთხრა: რას მამასხარავებთ, ბატონო სერგო, შეიდლოკი რა როლია! იქ მთავარი როლი პორციასია – თქვა ეროსიმ და დაჯდა. შეიდლოკი, მოგეხსენებათ, ნატვრაა ყოველი მსახიობისათვის. შეიდლოკი ხომ როლების როლია! ალბათ, იმდენად ჭირდა ობიექტურობა დაკარგული სერგოსთან მიმართებაში, რომ შეიდლოკის შეთავაზებაც კი ღალატში ჩაუთვალა. აბა, ეროსი-სნაირი ჰუმანური, ჭკვიანი და კეთილი კაცი რომ ამას იტყოდა, ხომ ცხადია, რა რთული იქნება თეატრში ცხოვრება?

რაღაც უცნაური სიამოვნებისა, გაურკვეველი სიამაყის გრძნობა მეუფლება, როდესაც ვიხსენებ, რომ მისი ბოლო სპექტაკლი ჩემთან იყო დაკავშირებული. ეს გახლდათ „ჩვენ, ქვემორე ხელისმომწერნი“, მე და ბატონმა ეროსიმ პრემიაც კი გავიყავით მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისათვის.

ეროსი უზომოდ კეთილი იყო, ბავშვივით კეთილი და სუფთა... რაც არ უნდა გაბრაზებული ყოფილიყო შენზე, არასოდეს დაგივწყებდა კარგს, ყოველთვის ახსოვდა შენი ღირსებებისა და ნიჭის შესახებ. ცუდს კი სწრაფად ივიწყებდა.

თუ მის ბიოგრაფიას თვალს გადავაევლებთ, ვნახავთ, რომ ის არც როლებით იყო განებივრებული და არც ჯილდოებითა და ტიტულებით. ესეც, ალბათ, მისი პორტრეტის ერთი შტრიხია...

ერთხელ, ეროსის ჩემი ახლობელი შეხვდა რკინიგზის სადგურზე, ორივენი ვიღაცას აცილებდნენ. ეს მოხდა ეროსის სიკვდილამდე ორი-სამი თვით ადრე. ეროსი თურმე ოდნავ ნასვამი ყოფილა. საუბარში ჩემმა ახლობელმა უთხრა: ბატონო ეროსი, რომ იცოდეთ, როგორ მიყვარხართ. თქვენ ხომ ჩემი საყვარელი მსახიობი ხართ... თქვენი ხმა, მომხიბვლელობა და ა.შ. თავადაც ღირსეული ადამიანი, პროფესორი და თავისი საქმის დიდი სპეციალისტი მსახიობს ესაუბრებოდა. ეროსი გაფართოებული თვალებით შემომცქეროდა, არც კი იღიმებოდაო. ვერ მიეხვდი, რას ნიშნავდა ეს მზერა, რას განიცდიდა ეს კაცი ჩემი სიტყვების მოსმენისას. მერე მკითხაო. მართალს ამბობთ? – როგორ გეკადრებათ, ბატონო ეროსი – მეთქი – ბიჭო, მერე მითხარით ეგ, თუ მართლა ასეა, რატომ არ მეუბნებით? წარმოგიდგენიათ? ეროსი მანჯგალაძეს არ სჯეროდა, ეჭვი ეპარებოდა, რომ იგი ხალხს უყვარდა – ამის დადასტურება სჭირდებოდა. ამის წარმოდგენაც კი ჭირს... ეროსის სამგლოვიარო სუფრის თამადამ, საქართველოს – ეროსის ჭირისუფალს, გაუმარჯოსო, თქვა; ანდა, ეროსის რომ ენახა, როგორ დაიტირა და დაასაფლავა იგი ქართველმა ერმა... იმას, რომ ეჭვი არ ჰქონოდა, ფასობს თუ არა მისი საქმე ხომ შეიძლება ცოცხალი ყოფილიყო?

ამიტომ, უნდა შეეაქოთ ცოცხალი მსახიობები, დაეწეროთ მათზე გაეულიმოთ და დავაფასოთ ისინი და ალბათ, გადარჩებიან.

რუბრიკის მასპინძელი,
ქეთი ჩადუნელი

ახალი ამბები

აჭარის ა/რ სამთავრობო დელეგაცია სოხუმს გაემგზავრა

გუშინწინ, დილით აჭარის ა/რ 9 კაციანი სამთავრობო დელეგაცია მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის, აეთანდილ გორგილაძის ხელმძღვანელობით სოხუმს გაემგზავრა.

დელეგაციის შემადგენლობაში უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს წევრები, საპარლამენტო ფრაქცია „აღორძინების“ თავმჯდომარე ჯემალ გოგიტიძე არიან.

როგორც „იფრინდა“-ს აჭარის ა/რ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პრესმდივანმა გიორგი თარგამაძემ განუცხადა, დელეგაციის სოხუმში ეიზიტის ინიციატორი თავად აფხაზური მხარეა.

მისი თქმით, მოუხედავად იმისა, რომ მოწვეცა ერთი თვეა, რაც დღის წესრიგში დგას, ბათუმში იგი უფრო მართებულად სახ.მინისტრის ნიკო ლეკიშვილის ეიზიტის შემდეგ ჩათვალეს.

აჭარის სამთავრობო დელეგაცია სოხუმში აფხაზ სეპარატისტთა ლიდერს ვარძინბასა და პრემიერ-მინისტრს სერგეი ბაგაფშს შეხვდება.

როგორც გ.თარგამაძემ „იფრინდა“-ს განუცხადა, შეხვედრაზე განსახილველი საკითხები მათთვის უცნობია, მაგრამ აჭარის დელეგაცია მიიჩნევს, რომ აღნიშნული ეიზიტი სოხუმში დაათბობს კონფლიქტურ სიტუაციას და ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დარეგულირების საქმეში კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება.

ამავე აზრისაა აჭარის ა/რ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ასლან აბაშიძეც. მისი თქმით, რადგან აფხაზური მხრიდან არსებობს შეხვედრის ინიციატივა, უფლება არა გვქონდა ხელიდან გაგვეშვა ეს შანსი. „და თუ ამ განმარტების შემდგომ ვინმე მაინც აიკვეატებს აჭარის დელეგაციის ეიზიტის მიზეზებს და იკითხავს რატომ, პასუხი ერთგვაროვანი იქნება – იმიტომ“ – განაცხადა ა.აბაშიძემ.

როგორც „იფრინდა“-სათვის გახდა ცნობილი, სოხუმის ეიზიტი შეთანხმებულია საქართველოს პრეზიდენტთან ე.შევარდნაძესთან.

აჭარის დელეგაცია გვიან ღამით ბათუმში დაბრუნდა. (იფრინდა)

მძღოლები და მგზავრები უკმაყოფილებას გამოთქვამენ

„იფრინდა“-ს ცნობით, გუშინ „2“, „25“, „22“, „4“ ნომრის სამარშრუტო ტაქსების მძღოლები 12.00 სთ-დან 14.00 სთ-მდე გაფიცვა მოაწყვეს.

მძღოლების თქმით, უკვე ოთხი დღეა, რაც საგზაო პოლიციის თანამშრომლებმა მათ მხოლოდ გაჩერებაზე გაჩერების უფლება მისცეს, რაც აღშფოთებას იწვევს მგზავრებში და კონფლიქტურ სიტუაციებს იწვევს.

აღნიშნულთან დაკავშირებით, „იფრინდა“-მ კომენტარი სთხოვა საგზაო-სატრანსპორტო პოლიციის სამმართველოს უფროსის მოადგილეს როლანდ ნაჭყებიას. როგორც მან განაცხადა, სამარშრუტო ტაქსის მძღოლს მგზავრის ჩამოსვლისას გაჩერების უფლება აქვს მისი მოთხოვნის შესაბამისად. თუმცა, მათი აყვანა მხოლოდ გაჩერებაზე უნდა მოხდეს. მძღოლებს ასევე არა აქვთ უფლება მგზავრების მეტროს მიმდებარე ტერიტორიაზე და დიდი რაოდენობით სატრანსპორტო საშუალებების თავშეყრის ადგილებში. დაელოდონ. კერძოდ, რუსთაველის გამზირზე. (იფრინდა)

კორუფცია ანუ ბრძოლა ქარის წისქვილებთან

გასული წელი კორუფციასთან ბრძოლის წლად გამოაცხადა ხელისუფლებამ და სამოქმედო გეგმაც შეიმუშავა, - ერთიანი ფრონტით შეეტია მისთვის. მიმდინარე წელიც მასთან ბრძოლის ფიდით მიმდინარეობს და თუ სახელისუფლებო სტრუქტურების ჩინოვნიკებს მივუგდებთ ყურს, ბრძოლა ამ ქვეყნის დამქცევი კორუფციის წინააღმდეგ, კომუნისტების საყვარელი ფრაზისა არ იყოს, უკვე მნიშვნელოვან ფაზაშია შესული. მივესალმებით მთავრობის მღალჩინოსანთა ამ შემართებას და შეუპოვრობას, ოღონდ ერთი გასაჭირი გვინდა გავუმხილოთ - ადინეობა ნატოსთან ბრძოლის ეგიდით მიმდინარეობდა. ამ ჩვენმა მესამე მდივანმაც კარგა ხანს უგდო ყური თურმე ნატოს ლანძღვა-გინებას, ბოლოს გულმა ვერ მოუთმინა და იყვირა: გამაგებინეთ ერთი, ვინ არის ეს ნატო, რა ქალია ამისთანა, დღედაღამ რომ სულ მის გინებაში ვართო.

ასეთ გაურკვევლობაში ვართ ეს საწყალი ხალხი. ერთმანეთისაგან ვერ გაგვირჩევია კორუფცია და კორუმპირებული. ისე, გუმანით კი ვხვდებით რაღაცას, რახან ძირი ამ სიტყვებს ერთი აქვთ, ეტყობა, ერთიმეორესთანაც ნათესაურ კავშირში არიან. ნათესავები

ღვეის გულისათვის, გაგეგებინეთ, ვინ არის კორუფცია, რას წარმოადგენს, რა ხილია, ჩვენც, უბრალო მოკვდავებმაც გვინდა ვიცოდეთ. ჩვენც ისე გვიჭირს, როგორც კომუნისტებისდროინდელი რაიკომის ერთ მესამე მდივანს დაემართა: ყოველი მაშინდელი ლექცია, შეკრება, პოლიტმეცკი, მოგეხსენებათ, მტკიცედ უდგანან მხარში ერთმანეთს და ამ შემთხვევაშიც, ეტყობა, კორუფცია და კორუმპირებულიც ხელი-ხელ ჩაკიდებული აკეთებენ თავიანთ საქმეს.

ღმერთო დიდებულო! როგორ არ უნდა გაგახსენდეს ამ ჩვენი ბობოლა ჩინოვნიკების შემყურეს ცხონებული სერვანტესის უკვდავი ქმნილება დონ-კიხოტი, ქარის წისქვილების სახით მარადიულ უჩინარ მტრებთან მებრძოლი კეთილშობილი რაინდი, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე მის ერთგულ სანჩოსთან ერთად მათთან ბრძოლას შეალია.

გვაპატიოს დონ-კიხოტის რაინდულმა სულმა, მისი შედარება რა მოსატანია ამ ჩვენს გაქსუებულ დიდმოხელეებთან, მაგრამ სხვა გზა ნამდვილად არ გვქონდა: ესენიც ქარის წისქვილებს ებრძვიან თავგამეტებით, ოღონდ ეგ არის, მას სახელად კორუფცია დაანათლეს და თავიანთ კოტიტა თითებს გამეტებით აქნევენ ჰაერში (რა თქმა უნდა, უხმლოდ, ხმლის დაჭერის თავი სადღა აქვთ!), ემუქრებიან ვიღაც უჩინარ მტერს და მერმე ქანცგამოლეულნი ასეთი „ცხარე" ბრძოლებისაგან, თვითკმაყოფილი სახით შემოგვცქერიან ჩვენ, უბრალო მოკვდავთ, - ნახეთ, რა ბიჭები ვართ, თქვენი გულისთვის რა ომს ვაწარმოებთო.

იომეთ, ბატონებო, ეომეთ იმ თქვენს უჩინარ კორუფციას და კორუმპირებულებს, იქნიეთ ჰაერში უხმლო მუშტები, ეს თქვენი საქმეა, მაგრამ ჩვენ რაღას გვერჩით, ჩვენ რატომღა გვაყრით ნაცარს თვალში, ძალით რატომ გვაბრმავებინებთ ამ „დალხინებული" ცხოვრებისგან ისედაც დავსილ თვალებს?! არ ვართ ჩვენ ისე გულუბრყვილოები, ვერ მივხვდეთ, თუ რატომ იქნევთ მუშტებს ჰაერში, სადაც წესი და რიგია (წესი და რიგი ჩვენგან კი ჯერ საკმაოდ შორსაა!), ეგ მუშტები თავად, თქვენვე უნდა მოგხვდეთ თავშიც და გვერდებშიც, რადგანაც კორუმპირებულნი სწორედ თქვენა ხართ, თქვენს ხელშია თავმოყრილი მთელი ხალხის ქონება და ისე ხრავთ ჩვენს სიმდიდრეს (თუ რამე დაგვრჩა კიდევ), უცხო ქვეყნების მიერ გაღებულ მოწყალებას, რომ ძღომასაც ვერ გრძნობთ.

თქვენი დროც დადგება. რაც არ უნდა იხვანცალოთ, რა თავის გასამართლებელი საბუთებიც არ უნდა მოიხმოთ, თქვენი მაინც მიგეზღვებათ. მანამდე კი, იქნიეთ მუშტები ჰაერში, ებრძოლეთ თქვენთვის უჩინარ კორუფციას და თვითკმაყოფილი სახეებით შესციცინეთ თქვენს მამა-მარჩენალ არქიფოს, რას იზამ, ჯერჯერობით ბურთიც და მოედანიც თქვენია. ჯერჯერობით...

თქვენგან გულგაწყალებული
ლ. ლომჯარიძე

ღვაწლმოსილი მეცნიერი

გუშინ, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტის დირექტორს ბატონ ლეო ჩიძავას დაბადებიდან 70 და სამეცნიერო მოღვაწეობის 50 წელი შეუსრულდა.

შტრიხები პორტრეტისათვის: ბატონი ლეო, გარდა იმისა, რომ აქტიურ სამეცნიერო მუშაობას ეწევა. კარგი მამა და ხუთი შვილიშვილის არაჩვეულებრივი ბაბუაა. განსაკუთრებით უყვარს ქართული ფეხბურთი, ელარჯი და მეგრული საცივი. მეგობრებთან კონტაქტურია, არ უყვარს უსაქმოდ ჯდომა და თავისუფალ დროს კითხულობს მხატვრულ ლიტერატურას.

უნდა აღინიშნოს, რომ ბატონ ლეოს განვლილი აქვს მეცნიერულ-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ნაყოფიერი გზა.

თსუ ეკონომიკის ფაკულტეტის წარმატებით დასრულების შემდეგ სწავლა გააგრძელა ასპირანტურაში. 1954 წელს დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 1968 წელს სადოქტორო დისერტაცია.

23 წლის ასპირანტს უკვე ანდეს სტუდენტებით სავსე უდიტორიები. სწორედ მაშინ დაიწყო მისი პედაგოგიური მოღვაწეობის ერთობ რთული და საპასუხისმგებლო საქმე.

პედაგოგიურ მოღვაწეობას წარმატებით უთავსებდა მეცნიერულ კვლევა-ძიებას. გამოქვეყნებული აქვს ასზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი. მათ შორის ცალკე წიგნად 17 მონოგრაფიული გამოკვლევა. ასევე დამხმარე სახელმძღვანელოები და ბროშურები ეკონომიკური თეორიისა და დემოგრაფიის საკითხებზე.

ერთობ საინტერესო და მწვავე მეცნიერულ პრობლემას ეხებოდა მისი მოხსენებები საერთაშორისო კონფერენციებზე: იტალიაში, გერმანიაში, ჩეხეთში, სლოვაკეთში, რუმინეთში, უნგრეთში და სხვაგან.

1983 წლიდან მიწვეული იქნა საქართველოს მეცნ.აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილედ. იგი აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობასაც ეწევა, არის საერთაშორისო ჟურნალ „Общество и экономика"-ს, აგრეთვე ქართული ჟურნალების „ეკონომიკა", „მაცნე" და მაკრო და მიკროეკონომიკის სარედაქციო კოლეგიის წევრი, საქართველოს ეკონომიკური ფორუმის დემოგრაფიისა და სოციალურ საკითხთა სექციის თავმჯდომარე, ყოველთა ქართველთა მსოფლიო კონგრესის დემოგრაფიისა და მიგრაციის პალატის თავმჯდომარე, საქართველოს ეკონომისტთა და დემოგრაფიული საზოგადოებების პრეზიდიუმის წევრი, ეკონომიკის სადისერტაციო-საკოორდინაციო საბჭოს წევრი, დემოგრაფიის სამთავრობო კომისიის წევრი და ა.შ. რომელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ 90-იან წლებში, არეულობის პერიოდში, ბატონმა ლეომ შესძლო დემოგრაფიის სოციალურ-ეკონომიკური ცენტრის, ხოლო 1991 წლიდან დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტის ჩამოყალიბება.

და ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსობა, მისი, როგორც საერთაშორისო დონის მეცნიერის კანონზომიერი აღიარებაა.

მართალია, ბატონი ლეო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი არ არის, მაგრამ სიმართლე გზას არ დაკარგავს და ღრმად გვჯერა, რომ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, სულ მალე აკადემიკოსობას მოგილოცავთ.

ბატონო ლეო, გაზეთ „საქართველოს" თანამშრომლები სულითა და გულით გილოცავთ ღირსშესანიშნავ იუბილეს გისურვებთ ჯანმრთელობას, ხანგრძლივ სიცოცხლეს, ნაყოფიერ მეცნიერულ მოღვაწეობას ქართველი ერის საკეთილდღეოდ.

„ასოს" ანეკდოტი და სახელმწიფო ტელევიზია

ჩვენი უნივერსიტეტის ერთ განსაკუთრებით სახელოვანსა და ცნობილ პროფესორს, შ.ნ.-ს, გადმოცემით, ასეთი ამბავი გადაეხდომია. გამოცდაზე მიადგა სტუდენტი გოგონა, ალექსანდრა წ. საგანი ჩაბარა, მაგრამ უწყისში შეტანილი აღმოჩნდა ალექსანდრე წ. შეხუმრების მოყვარულმა პროფესორმა უთხრა გოგონას, ნიშანს ვერ დაგიწერთ, თქვენ ალექსანდრა ხართ, მე კი საგანი ალექსანდრემ უნდა ჩაბარესო. „მერე რა მოხდა, ერთ ასოშია განსხვავება!" - დაიჩივლა სტუდენტმა. „ეგ ასოა სწორედ მთავარი" - მიუგო პროფესორმა.

აწ. 25 თებერვალს საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის შტაბ-ბინაში პრესკონფერენციაზე ნოდარ ნათაძეს ჰკითხეს: „იწონებთ თუ არა შევარდნაძის ნაბიჯს, გაეროს ოფიცერთა დატყვევებასთან დაკავშირებულ მოლაპარაკებაში რომ თეითონ მონაწილეობსო?" ნათაძემ უპასუხა: „დიახ, ვიწონებ, ცალსახად და უყოყმანოდ". საქართველოს სახელმწიფო ტელევიზიამ, რომელიც საეთერო დროს არ იშურებს ნათაძის „დისკრედიტაციის" მცდელობისათვის, ზმნაში „იწონებთ" ერთი ასო შეცვალა და მაყურებელს ასეთი „ინფორმაცია" მიაწოდა: „ნათაძემ თქვა, ვიწუნებ შევარდნაძის ნაბიჯს, მოლაპარაკებაში მონაწილეობაზე რომ უარი თქვა. ხედავთ, რა ცუდად არის ნათაძე. ინფორმირებული შევარდნაძის პოლიტიკაზეო!"

დალტონიზმი ანუ „ფერთა სიბრმავე" საკმაოდ არასასიამოვნო დაავადება გახლავთ. დალტონიკებს, სხვათა შორის, საჭესთან არ უშვებენ. ტელევიზიას და მის მაღალ პატრონებს, როგორც ეხედავთ, დალტონიზმი ერთ საქმეში მაინც სჭირთ: ასოთა გარჩევა არ ეხერხებათ. მაგრამ ყველაზე დიდ საჭესთან ყოფნას ეს რატომღაც არ უშლით.

იმავე ტელეგადაცემაში კიდევ ერთი სიუჟეტი ჩართეს, რომელიც ჰუმორის ფოლკლორულ მარგალიტებს მოგვაგონებს, სახელდობრ, ანდაზას. ტელეეკრანიდან დიქტორის პირით გაზ. „საქართველოს" ყოფილმა რედაქტორმა და დირექტორმა გრიგალაშვილმა არც მეტი, არც ნაკლები, შეაგინა საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის ეროვნულ კომიტეტს, რომელსაც „უსაქმური" უწოდა. ჩვენ ეკითხულობთ: ვინ არის „უსაქმური" - საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის ეროვნული კომიტეტი - პარტიისა, რომელიც საქართველოში დღეს ყველაზე წინაა საქართველოს სახელმწიფოებრიობის, მისი ტერიტორიული მოწყობის, მისი იდეოლოგიური პრინციპების და არაერთი სხვა პოლიტიკური საკითხის გაარკვევაში - (და არა მხოლოდ ისეთ სასაცილო პარტიაზე წინ, როგორიც „მონკავშირია") - თუ ისინი, ვისი მეგობრობის ეშხითაც ყოფილმა დირექტორმა გაზეთს ეშხი და სიმწვავე ლამის დაუკარგა, ვინც საქართველო გაყვლიფა, გაანადგურა, უკლებლივ ყველა მტრის წინაშე დააჩოქა, დაამშია, შეარცხვინა, პატივი აჰყარა და სხვა ყველაფერთან ერთად ახლა უწყალოდ გამოთაყვანებასაც უპირებს?

შავისა და თეთრის ვერგარჩევა უფრო მძიმე ცოდვაა თუ ასოთა ვერგარჩევა, ამაზე, დაე, მკითხველმა იმსჯელოს.

ნ.ჯეიშვილი, ვიცე - კოლკოვნიკი
პრესკონფერენციის დამსწრე

რედაქტორისაგან: ვერ დავეთანხმები წერილის ავტორის აზრს იმის შესახებ, რომ გაზეთის ყოფილმა რედაქტორმა ნ. გრიგალაშვილმა გაზეთს სიმწვავე დაუკარგა „მონკავშირის ეშხით". ნოდარ გრიგალაშვილი არ არის ის პიროვნება, რომ რაღაც მოსაზრებების გამო საკუთარ პოზიციას უღალატოს.

პრეზიდენტზე თავდასხმა — რუსეთის სპეცსამსახურების ხელწერა...

25 თებერვალს საქართველოს გაერთიანებულმა რესპუბლიკურმა პარტიამ პრესკონფერენცია გამართა. ბატონმა ნოდარ ნათაძემ ყურადღება გაამახვილა აქტუალურ საკითხებზე – 9 თებერვლის ტერაქტი და ჯიხაშკარის ცნობილი მოვლენები.

ბატონ ნათაძის გამოსვლიდან გამომდინარე, მას შემდეგ, რაც 1998 წლის 9 თებერვალს მოხდა თავდასხმა საქართველოს პრეზიდენტზე, მნიშვნელოვნად გამრავალფეროვნდა პოლიტიკურ პერსონათა გამონათქვამები საქართველო–რუსეთის ურთიერთობის შესახებ. კონსტანცირებულ იქნა იმის შესაძლებლობა, რომ ხსენებული თავდასხმის ორგანიზაცია ეკუთვნის რუსეთის სპეცსამსახურებს საქართველოზე ზემოქმედებისა და საქართველოში არასტაბილური მდგომარეობის შექმნის მიზნით.

ამგვარად იქმნება შთაბეჭდილება, რომ საქართველოს ხელისუფლება ახდენს რუსეთის მიმართ თავისი პოლიტიკის კორექტირებას მისთვის უფრო დამუკიდებელი ხასიათის მისაცემის მიმართულებით.

უნდა აღინიშნოს, რომ გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის მესვეურების აზრით, ყველა ნაბიჯი, რომელიც მიმართული იქნება საქართველოზე უცხო ქვეყნის დიქტატის მოხსნისკენ, იურიდიულად გამართული – საქართველოს ინტერესებთან შესაბამისი ფორმით, მხარდაჭერას ჰპოვებს ეროვნულ–განმათავისუფლებელი მოძრაობის მხრიდან. ამასთანავე ზემოთქმულის ადექვატური და გულწრფელი ფორმა ვერაფერი იქნება, თუ არა რუსეთის ჯარის გაყვანა.

მეორე მხრივ, ყურადღება გამახვილებული იქნა პრეზიდენტის ინტერვიუზე და ტერაქტში ექსპრეზიდენტის მომხრეთა მონაწილეობის საკითხზე.

პრესკონფერენციაზე ყურადღება მიექცა აგრეთვე ეკოლოგიის საკითხებს. თუ რა საფრთხე შეიძლება მოუტანოს საქართველოს სომხეთის აეს–იდან დარჩენილმა რადიაქტიულმა ნარჩენებმა რომლიდანაც ასევე შესაძლებელია ატომური ბომბების დამზადებაც.

ხოლო ჩვენს შეკითხვაზე, რომელ სახელმწიფოში შეიძლებოდა ყოფილიყო ესეზუა იმ ხნის განმავლობაში, როდესაც იგი საქართველოდან იყო გასული, ბატონი ნოდარი მოკლე პასუხით შემოიფარგლა – გამგები ამას ისედაც კარგად გაიგებს.

კ.კაკაბაძე

ავთანდილ პოპიაშვილი (1944-1998)

ქართულ ფილოსოფიურ საკრებულოს გამოაკლდა ერთი შესანიშნავი მკვლევარი, დიდი ფილოსოფიური პოტენციალის მქონე ადამიანი. 21 თებერვალს მშობლიური ქიზიყის მიწამ სოფგამარჯვებაში მიიბარა ფიზიკური და სულიერი ტკივილებისაგან დაღლილი მისი სხეული, ფილოსოფიური აზროვნების ერთი ფერი სამუდამოდ დაეკარგა საქართველოს.

აპოპიაშვილი ფილოსოფიასთან მოვიდა, როგორც სანუკვარ მიზანთან. ვერც პოლიტექნიკურმა ინსტიტუტმა, სადაც ავთანდილი პირველად შევიდა უმაღლესი განათლების მისაღებად, ვერც თსუ აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტმა, სადაც პოლიტექნიკურიდან გადავიდა, ვერ დააკმაყოფილეს ახალგაზრდა კაცის მაძიებელი სული. იგი შეჩერდა ფილოსოფიასთან და გააგრძელა სწავლა ფილოსოფიის ფაკულტეტზე. თუ ფილოსოფია მართლაც გაკვირვებით იწყება, როგორც არისტოტელე ამბობს, მაშინ უნდა ითქვას, რომ აპოპიაშვილი საოცრად კარგად „მოერგო" ფილოსოფიას; გულუბრყვილო გაკვირვებით ილებდა იგი ყოველ ახალ პრობლემას და საუბარს ამთავრებდა მასზე სერიოზული, საფუძვლიანი მსჯელობით; იყო უაღრესად ტოლერანტული განსხვავებული აზრის მიმართ. იგი ადვილად თმობდა საკუთარ პოზიციას, როგორც კი მის უსაფუძვლობას დაინახავდა. ერის ფორმის ტერმინებით რომ ვთქვათ, აპოპიაშვილის აზროვნება უფრო მიდრეკილი იყო „ყოფნაზე", ვიდრე „ფლობაზე". ე.ი. მისთვის უფრო მთავარი იყო ჭეშმარიტების დადგენა, ვიდრე შემოწმებული დებულებების ფლობა.

აპოპიაშვილი ჯერ სტუდენტობის, შემდეგ ასპირანტურის წლებში პროფ.გ.თევზაძის ხელმძღვანელობით კარგად დაეუფლა გერმანული კლასიკური ფილოსოფიის პრობლემატიკას. ამ მიმართულებით ჩატარებული საინტერესო კვლევის შედეგია მოხოგრაფიული გამოკვლევა ფიხტეს ეთიკური იდეალიზმის შესახებ, – მისი საკანდიდატო დისერტაცია, რომელიც დაიცვა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 1977 წელს. გერმანული კლასიკური იდეალიზმის მკაცრი რაციონალიზმი ბადებდა ანტირაციონალისტურ ტენდენციებს ფილოსოფიაში, ხოლო ზოგადის უსაზღვრო ბატონობა ასევე აღვიძებდა ინტერესს ერთეულის, ინდივიდის პრობლემისადმი. ევროპული ფილოსოფიის განვითარების ერთ მნიშვნელოვან მოხაკვეთზე ინდივიდის პრობლემის გარკვეული გადაწყვეტა მიღებულ იქნა, როგორც მაშინდელი მსოფლმხედველობრივი კრიზისის დაძლევის საშუალება. აღნიშნული პრობლემის გამოკვლევას შეუდგა აპოპიაშვილი, რომელიც დაასრულა შესანიშნავი მონოგრაფიით – „ინდივიდის პრობლემა სკირგეგორისა და ფიხტეს ფილოსოფიაში". (1988 წ.) ეს ნაშრომი – სადოქტორო დისერტაცია – ავტორმა წარმატებით დაიცვა 1989 წელს ისევ უნივერსიტეტში.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ დასახელებული ნაშრომი არის არა მარტო ავტორის ფილოსოფიური შემოქმედების, არამედ, საერთოდ, ქართული ფილოსოფიური აზროვნების მშვენიერი შენაძენი. გამოკვლევაში ჩანს ავტორის უაღრესად კორექტული, ღრმა ფილოსოფიური აზროვნება, განსახილველი პრობლემების, პირველ რიგში – ინდივიდის პრობლემის თითქმის ყოვლისმომცველი ხედვა. ეს ნაშრომი, – გარკვეული აზრით, მისი ავტორის ფილოსოფიური პორტრეტია. ამ პორტრეტს ზოგიერთი შტრიხი აკლია. ზოგი ბუნდოვანად ჩანს. ეს-ის შტრიხებია, რომლებიც ავტორს მომდევნო შრომებში უფრო მკაფიოდ, უფრო სრულად უნდა ენერებინა. სამწუხაროდ, ცხოვრებამ ალარ დააცადა ავთანდილს საკუთარი თავის ბოლომდე რეალიზება. შუა გზაზე გაწყვეტილი ფიქრი, აზრი, საქმე, საერთოდ – ცხოვრება იწვევს უსაშველო ტკივილსა და სინანულს. ამგვარი ბედის ადამიანებზე შეიძლება მხოლოდ იტირო ან ილოცო. სამწუხაროდ, სულიერ საშველს არც ერთი იძლევა და არც მეორე.

ავთანდილ პოპიაშვილის სახეს საინტერესოდ ახასიათებს მისი დამოკიდებულება ქართული ეროვნული მოძრაობისადმი. თავიდანვე ამ მოძრაობაში ჩართული, იგი მწვავედ განიცდიდა მის ყოველ წარმატებას თუ წარუმატებლობას. უზენაესი საბჭოს დეპუტატად ყოფნის დროს (1991 წლიდან) ყოველთვის მხარს უჭერდა იმ პოლიტიკურ ხაზს, რომელიც ღირსეულად დაიცავდა საქართველოს ეროვნულ და სახელმწიფოებრივ ინტერესებს. აპოპიაშვილს ღრმად სწამდა იმ აზრისა, რომ პოლიტიკური ცხოვრების მწვავე პრობლემისაგან განდგომა ფილოსოფიის მაღალი ობიექტურობის დამადასტურებელი კი არ არის, არამედ მისი უძლურებისა: ფილოსოფოსი უძლურია მანამ, სანამ მისთვის თავისი ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრება უცხო და გარეგანია. ეს იმასაც ნიშნავს, რომ ფილოსოფოსი თავისი ქვეყნის პატრიოტი უნდა იყოს. აპოპიაშვილი ამ პრინციპის ერთგული დარჩა ბოლომდე.

ავთანდილ პოპიაშვილმა დაგვიტოვა მცირე, თუმცა ძვირფასი ფილოსოფიური პროდუქცია. მისი გაცნობისას ფილოსოფიაზე შეყვარებული ქართველი მკითხველი იგრძნობს იმ იშვიათ სიამოვნებას, რომელიც მხოლოდ ფილოსოფიური აზრის ღრმა და საინტერესო მოძრაობას მოაქვს.

გერონტი შუშანაშვილი,

ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ნათია ჭათამაძე

თითქოს გუშინ იყო, გაზაფხულის მახარობელი პირველი მერცხალივით რომ შემოფრინდი ჩვენს გულებში და შემოიტანე დიდი სიხარული და ბედნიერება, მაგრამ ისე მალე გაგვფრინდი, რომ მოფერებაც კი ვერ მოვასწარით. სულითა და სხეულით ლამაზს, ცხოვრებაშიც ყველაფერი ლამაზი გიყვარდა, ამიტომაც იყო, რომ ამ ცხოვრებიდან ლამაზი ჩიტივით გაგვფრინდი და თან ულევი სიყვარული და ცრემლი წაიღე.

16 გაზაფხულის შემდეგ მოწყდა შენი ლამაზი მანათობელი ვარსკვლავი, წახვედი და დაგვიტოვე დიდი წუხილი, სევდა და ტკივილი, რომელსაც ვერავითარი დრო ვერ განკურნავს, მაგრამ იმ იმედიდა ვართ, რომ მოვა დრო და ჩვენ საუკუნოდ ერთად ვიქნებით, ნათი.

29 თებერვალი შენი დაბადების დღეა. ახლა 18 წლის გახდებოდი. ძალიან გვაკლიხარ და ძალიან გვეტანება. ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი წმინდა სული, ჩვენო დიდო სიხარულო და დიდო ტკივილო.

განცხადებები

იყიდება ვაკეში ტბაბიძის I შეს-ში მიწის ფართი 800 კვ.მ აშენების პერსპექტივით. დარეკეთ ტელ. 29-21-75; 29-09-37

* * *

იყიდება რუსთავში სასწრაფოდ, სამოთახიანი ბინა მესხიშვილის გამზირზე. დწერილებითი ცნობებისათვის დარეკეთ 61-62-98 მანანა, ნანა

* * *

ქირავდება 2 ოთახიანი ბინა დოლიძის ქუჩაზე ავეჯით და ტელეფონით. ფასი 180 ლარი. ტელ. 71-36-65

* * *

ქირავდება კერძო ბინის სუფთა ახალგარემონტებული ოთახი (სასურველია 2 სტუდენტი ბიჭი). ბესიძის №46, ფართი 20 კვ.მ ფასი 1-ზე 30 თუ ორი იქნებიან 40 ლარი. ტელ.95-82-87

* * *

ქირავდება ატენის ქუჩაზე კეთილმოწყობილი ავტოფარეხი. ფასი შეთანხმებით. ტელ. 22-15-46 იკითხეთ ზურა

* * *

იცვლება ოთხოთახიანი ბინა თუხარელის პროექტით ვაჟა ფშაველას V კვ-დან მე-14 სართული ერთ ან ოროთახიან I სართულზე განთავსებულ ბინაზე ან ლოჯრციულ ფართზე ქალაქის ცენტრში. ტელ. 39-26-39

* * *

იყიდება მიწის ნაკვეთი საცხოვრებელი სახლის დამტკიცების პროექტით საბურთალოზე მსუბუქ ავტომანანქანაზე ტელ. 39-26-39

* * *

იცვლება ორი ბინა ერთ ოროთახიანზე მეტრო „პოლიტექნიკურთან" III სართული და მეორე ოთხოთახიანი ვაჟა-ფშაველას V კვარტალი მე-14 სართული. კერძო სახლზე, 5 ან 6 ოთახიან გარემონტებულ ბინაზე ქალაქის ცენტრში. ტელ. 39-26-39

* * *

იყიდება წყლის გამოსახდელი აპარატი გერმანული, ქათმის გალიები. ფასი შეთანხმებით. ტელ. 96-10-50

* * *

ვაკეთებ და ვყიდი დესაოს, ლოგინის ჩასაწყობ ტახტს და ყველა ზომის კამოდს. ტელ. 96-46-56

* * *

მოუყელი ნებისმიერი ასაკის ბავშვს ან მოხუცებულს, შეიძლია აგრეთვე საოჯახო საქმეების გაკეთება. ტელ. 66-11-21

* * *

ვაქირავებ ერთ ოთახს კერძო ბინაში ნაძალადევში, დიდი ჯიხაიშის №89 ტელ. 66-11-21 ფასი შეთანხმებით

* * *

იყიდება ენციკლოპედია „საქართველო" I ტ. მაღაზია №153 საქწიგნის, გორგასლის №17 ტელ. 72-51-24

მილოცვა

ჩემს ძმას, ჯოლიბას, შაჰვარლეს და შაქვირშასს მეგობარს, **ამირან ბეთურიშვილს** ვულოცავ დაბადების დღეს — 28 თებერვალს, ვუსურვებ სიკეთეს, სიცოცხლეს და ბედნიერებას.

ლანდა მასხულია

შეცდომის გასწორება

გაზეთ „საქართველოს" წინა ნომრის მე-8 გვერდზე გამოქვეყნდა მიმართვა გაეროს გენერალური მდივნისადმი, რომლის ტექსტის მე-3 აბზაცში „საქართველოს წარმოების ბირთვული გენერატორების" ნაცვლად უნდა იკითხებოდეს „საბჭოთა წარმოების ბირთვული გენერატორი".

მთავარი რედაქტორი
სერგო ჯანაშია

ტელეფონები:
რედაქტორი: 93-20-36,
რედაქტორის მოადგილე: 93-18-41

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5
გაზეთის ინდექსი 66447
ფასი 50 თეთრი

დამფუძნებელი და გამომცემელი საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია

რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ. №06/4-444